ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1926 წლის მაისის 20.

№ 4.

ტფილისი

ა/კ. ცენტ. აღმას. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემ.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

შინაარსი:

მუხ. 620. სახელმწიფო სამონადირო გამოს აღების რაოდენობის დაწესების შესახებ.

„ 621. ქალ. ახალქალაქის მცხოვრებთათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესახებ.

„ 622. ბითუმად გასაყიდი ფართლეულობის ფასების წანამატის შესახებ.

„ 623. საზაფხულო საძოვრებზე ნერბი-ცხვრის გადაზიდვის ადგილობრივი საშეღავათო ტარიფის შესახებ.

„ 624. საკატასტროფო საქმეების განხილვის წესის შესახებ.

„ 625. ა/კსფსრ ერთი ადგილიდან მეორე ადგილას ავადმყოფების სამკურნალოდ გაგზავნის წესის შესახებ.

„ 626. დროებითი შრომის უუნარობისათვის გასაცემი დახმარების მაქსიმალური რაოდენობის შესახებ.

„ 627. საძოვრებზე ნერბი-ცხვრის გადაზიდვის საშეღავათო ტარიფის გავრცელების შესახებ კრავისა, ბატკნისა და ვერძი-ცხვრის გადაზიდვაზე.

„ 628. მაზუთის ფასის შესახებ.

„ 629. საშუალო სამედიცინო პერსონალის ზოგიერთი კატეგორიის სამუშაო დროის შესახებ

„ 630. ზაჰეში ექსკურსიისთვის საყმკურსიო ტარიფის დაწესების შესახებ.

„ 631. გზათა-მშენებლობისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა შესახებ.

„ 632. დებულება საფინანსო კონტროლის შესახებ.

„ 633. სანინის საბითუმო-საგასაცემო ფასების შესახებ

„ 634. მაზუთის ფასის შესახებ.

„ 635. დაკარგული საცხოვრებელი დოკუმენტის განახლების შესახებ.

„ 636. დებულება უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის შესახებ.

„ 637. საქონლის საეტიკეტო ფასების დაცვისათვის ზედამხედველობის გაწევის შესახებ.

„ 638 სასელმწიფო და ადგილობრივი გადასახადისა, გამოსაღებისა და ბაჟის მენარჩენეთა ქონების შეკვრისა და საჯარო ვაჭრობით გაყიდვის წესების შესახებ.

„ 639. სამომხმარებლო კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ სოციალური დაზღვევისათვის შესატანი გადასახადის საშეღავათო ტარიფის შესახებ. (ა/კ. სახ. კომ. საბჭოს 1926 წ. თებერვლის 11-ს დადგენ. შეფარდების წესი)

„ 640. დებულება სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათა და საწარმოთა და საჯარო ანგარიშგება-ვალდებულ შრეულ საზოგადოებათა საანგარიშო ნაწილის შესახებ.

მუხ. 641. შირის ტრესტის ნაკეთობის საბითუმო და ცალობითი ფასების შესახებ.
„ 642. პაპიროსის საბითუმო და ცალობითი ფასების შესახებ.
„ 643. საუბნო, სადაირო და სათემო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სოფლის საბჭოების მოვალეობათა ფარგლის შესახებ ფოსტა-ტელეგრაფის კავშირგაბმულობის სფეროში.
„ 644. ბალანსების განნილვისა და მოგების განაწილების წესის შესახებ.
„ 645. ა/კ. რკინის გზაზე საექსკურსიო ტარიფის დაწესების შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენ. აღმ. კომიტეტისა და ა/კ-ს სახალხო კომისართა საბჭოსი.

620. სახელმწიფო სამონადირო გამოსაღების რაოდენობის დაწესების შესახებ.

ა/კ. ცენ. აღმ. კომიტეტისა და ა/კ-ს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სახელმწიფო სამონადირო გამოსაღების რაოდენობის დაწესების შესახებ“ 1925 წ. იანვრის 5-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (კან. კრ. 1925 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 326) გასაუქმებლად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ-ს სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ყოველ მონადირეს, რომელსაც უფლება აქვს ა/კ-ს ტერიტორიაზე ინადიროს ცეცხლმსროლი იარაღით ან სხვ. ნებადართული ხერხით, შეეწერება სახელმწიფო სამონადირო გამოსაღები.

შენიშვნა. ის პირი, რომელიც სამონადირო გამოსაღებს გადაიხდის ა/კ-ს-ში შემავალ ერთ-ერთ რესპუბლიკაში ნადირობის მოწმობის მიღების დროს, განთავისუფლებულ იქნება ა/კ. ფედერაციის სხვა რესპუბლიკაში მოწმობის მიღებისათვის გამოსაღების გადახდისაგან და ამ გამოსაღების დანართისაგან, რაც ამა დადგენილების მე-4 მუხლშია გათვალისწინებული.

2. სახელმწიფო სამონადირო გამოსაღების განაკვეთი დაწესდება შემდეგი რაოდენობით: სოფლად მცხოვრებისათვის, რომლისთვისაც ნადირობა არსებობის ხელისშემწყო წყაროა ან სპორტის საგანი, —1 მან. წლიურად, ხოლო დანარჩენებისთვის, მუშების გარდა,—3 მან. წლიურად. მუშისათვის გამოსაღების განაკვეთი დაწესდება ერთი მან. რაოდენობით წლიურად.

3. გამოსაღებს გადაახდევინებენ ა/კ-ს-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ორგანოები, ვიდრე გაცემულ იქნებოდეს ნადირობის მოწმობა, და შეიტანენ სახელმწიფოს შემოსავლად საშემოსავლო აღრიცხვის სათანადო პარაგრაფში.

4. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება აქვთ დაწესონ ხოლმე ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულებით დადგენილი სახელმწიფო სამონადირო გამოსაღების ზედნართი არა უმეტეს მე-2 მუხ. აღნიშნული განაკვეთის 50 %-სა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმ. კომიტეტის
თავმჯდომარე **აღამალი-ოღლი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. მარტის 30. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1140 №-ში 1926 წ. აპრილის 2-ს.

დადგენილება ა/კ. ცენ. აღმ. კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

621. ქალ. ახალქალაქის მცხოვრებთათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესახებ.

იმპერიალისტური ომის დროს დაზარალებული ქალ. ახალქალაქის აღსადგენად წარმოებული აღმშენებლობისათვის ხელისშეწყობის მიზნით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმ. კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. განთავისუფლებულ იქნენ 1926-27 საბიუჯეტო წლის დასაწყისიდან 1921 წლის თებერვლის 25-ს შემდეგ ახლად აგებული შენობების მფლობელნი შემდეგი გადასახადისა და გამოსაღებისაგან;

ა) შენობების გადასახადისაგან;

ბ) მეეტლეობის სარეწავისათვის გამოსაყენებელი ცხენებისა და სხვა ცხოველთა გადასახადისაგან;

გ) იმ სასყიდლის ზედნართისაგან, რასაც სანოტარო ორგანოები ახდევინებენ შენობათა და აღნაგობის უფლების გასხვისების აქტების ქმნისათვის;

დ) სამრეწველო ბაღებისა და ბოსტნების გადასახადისაგან;

ე) ოთხფეხი საქონლის გადასახადისაგან.

ვ) დამატებითი რენტისაგან;

ზ) სახელმწიფო სასარეწაო და საშემოსავლო გადასახადის ზედნართისაგან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. 1-ლი მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ და „ზ“ პუნქტ. ჩამოთვლილი გამოსაღებისა და გადასახადისაგან განთავისუფლების ვადად დაწესებულ იქნეს 10 წელიწადი, ხოლო დანარჩენ მუხლებში ჩამოთვლილ გადასახადისა და გამოსაღებისაგან განთავისუფლების ვადა— 5 წელიწადი.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომ.
თავმჯდომარე **აღამალი-ოღლი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. მარტის 30. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1141 №-ში 1926 წ. აპრილის 3-ს.

დადგენილება № 1369 ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1926 წ. მარტის 25.

(მოწესრიგების სამმართველო)

622. ბითუმად გასაყიდი ფართლეულობის ფასების წანამატის შესახებ.

ა/კ. ცენ. აღმ. კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26 თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნქტის თანახმად—ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თვისი, 1925 წლის მაისის 13-ს თარიღისა და 41 №-რის, დადგენილების გასაუქმებლად და 1925 წ. იანვრის 5-ს თარიღისა და 23 №-რის დადგენილების 1-ლი პარაგრაფის შესაცვლელად, ადგენს:

I. საფეიქრო ნაკეთობის საბითუმო გაყიდვა ყველა იმ სახელმწიფო ორგანოსა და კოოპერატიული შენაერთის ტფილისისა, ბაქოს და განჯის საწყობებში, რომელიც ფართლეულობას ბითუმად გასცემს ხოლმე, უნდა სწარმოებდეს სათანადო ტრესტების მომქმედი პრეისკურანტების ფასებზე შემდეგი რაოდენობის წანამატით:

ა) სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციისათვის:

	ბაქო	განჯა	ტფილისი
ბამბისა	11,75%	11,75%	11,75%
მსხვილი მატყლისა, შინელის რუხი მაუდი, ბაიკა, კურზა, ბობრიკი	8,5%	9%	9%

	ბაქო	განჯა	ტფილისი
წმინდა მაუდი, მოსკოვ. მაუდი, ლენინგრ. საფ. ტრ.	6,5%	7%	7%
საკამვოლო	6%	6%	6%
სელისა კრასოვსკ. ფაბრიკ.	7%	7%	7%
სელისა სხვა ფაბრიკ.	6%	6%	6%

ბ) კერძოთათვის:

	ბაქო	განჯა	ტფილისი
ბამბისა	13,25%	13,25%	13,25%
მსხვილი მატყლისა, შინელის რუხი მაუდი, ბაიკა, კურზა, ბობრიკი	10%	10,5%	10,5%
წმინდა მაუდი, მოსკოვ. მაუდი, ლენინგრ. საფ. ტრ.	8%	8,5%	8,5%
საკამვოლო	7,5%	7,5%	7,5%
სელისა კრასოვსკის ფაბრ.	8,5%	8,5%	8,5%
სელისა სხვა ფაბრ.	7,5%	7,5%	7,5%

II. 1925 წლის იანვრის 5-ს თარიღისა და 23 №-რის ზემოაღნიშნული დადგენილების მე-2, 3 და 4 პარაგრაფები ძალაში დარჩეს.

III. შინა-ვაჭრობის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

IV. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ.

V. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარი **ერქომაიშვილი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1141 №-ში 1926 წ. აპრილის 3-ს.

დადგენილება ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

1926 წ. აპრილის 1.

(განმკ. სხდ. № 16—6)

623. საზაფხულო საძოვრებზე ნერბი-ცხვრის გადაზიდვის ადგილობრივი საშელავათო ტარიფის დაწესების შესახებ.

საზაფხულო საძოვარზე გასარეკ ნერბი-ცხვრის ვაგონობით გადაზიდვისათვის (სსრკ რკ. გზ. ტარიფ. კრებ. მე-II ნაწ., მე-10 პოზ., ტვ. 34) სადგ. ქიურდამირი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან სად. აქსტაფასა და ფოილომდე დაწესებულ იქნეს ნორმალურ ტარიფზე 25 პრ-თ. შემცირებული საშეღავათო ტარიფი ვადით 1926 წ. მაისის 1-დე.

ტარიფი ესე შემოღებულ იქნეს ტელეგრაფით.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არს. სუწყებათაშორისო სატარიფო
თათ. თავმჯდომარის მოადგილე **ფიცხელაური.**

სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველი **შახბუდაღოვი.**

ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1142 №-ში 1926 წ. აპრილის 4-ს.

განმარტება № 2 ა/კ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1926 წ. აპრილის 3.

624. საკატასტროფო საქმეთა განხილვის წესის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. მარტის 15-ს დადგენილების („ა/კსფსრ შრომის კანონმდ. ვესტნიკი"-ს 1926 წ. მე-5 №-რი) შესასრულებლად—ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს, რომ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. სექტემბრის 14-ს დადგენილებით („ა/კსფსრ შრომის კანონმდ. ვესტნიკი"-ს 1925 წ. მე-17 №-რი) საქმე რკინის გზაზე მოძრაობის დროს მომხდარი ამა თუ იმ შემთხვევის შესახებ, რამაც გამოიწვია სამოძრაო შედგენილობისა და გზის გაფუჭება, ან გზის მომუშავეთა თუ მგზავრთა დაშავება, რკინის გზის აგენტების დანაშაულის განსაზღვრა და მათთვის გადასახდელის დადება, გამოყოფილია შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების გამგებლობიდან და განხილულ უნდა იქნეს სასამართლო წესით ან განსაკუთრებული წესისამებრ, რაც გათვალისწინებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. სექტემბრის 14-ს (ზემოაღნიშნულ) დადგენილებაში. ამის გამო, შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის მიერ ასეთი კატეგორიის საქმის განხილვა, თუნდაც იგი დაკავშირებულ იყოს აგენტის სამსახურიდან დათხოვნასთან, შეუსაბამოა და შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის ასეთი დადგენილება, უკეთუ იგი გამოაშკარავდა, გაუქმებულ უნდა იქნეს შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოს მიერ, ზედამხედველობის წესისამებრ.

ამას გარდა, უკეთუ საქმე კატასტროფისა და სხვა შემთხვევის შესახებ წარმართულია არა-სასამართლო წესით, ა/კ შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წ. იანვრის 16-ს განმარტება „47 მუხლის „ე" პუნქტის შეფარდების წესის შესახებ" არ შეიძლება შეფარდებულ იქნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასახდელი არა-სასამართლო წესით წარმართული საქმის გამო—კატასტროფის შესახებ—დადებულ უნდა იქნეს გზის ადმინისტრაციის მიერ (გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა და რკ. გზის გამგეობის თავმჯდომარის სახით), უკეთუ რკ. გზის სამმართველოსთან არსებული სარკინისგზო შემთვევების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება ერთხმივი იქნება. იმ აგენტს, რომელიც უკმაყოფილოა დადებული გადასახდელისა, შეუძლიან განასაჩივროს შემდგომი განსაჩივრების წესით მისთვის შეფარდებული გადასახდელი პარიტეტულ კომისიაში, რომელშიაც შედიან რკ. გზ. პროფ. კავშირთა საბჭოს და გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის წარმომადგენელნი. უკეთუ აგენტი კმაყოფილი არ იქნება კომისიის გადაწყვეტილებისა ან კომისიამ შეთანხმებას ვერ მიაღწია, საკითხი, ა/კ. რკ. გზ. შრომის უფროსი ინსპექტორის მეშვეობით, გადაიტანება ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატში, რომელიც დაადგენს საბოლოო გადაწყვეტილებას.

ა/კ. შრომის სახალხო კომისრის

მოადგილე **იაშვილი.**

სატარიფო-საკონფლ. განყ. გამგის მოადგ. **თუმანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1144 №-ში 1926 წ. აპრილის 7-ს.

ცირკულარი № 1 სოციალური დაზღვევის მთავარ-სამმართველოსი.

1926 წ. მარტის 16.

625. ა/კსფსრ ერთი ადგილიდან მეორე ადგილას ავადმყოფების სამკურნალოდ გაგზავნის წესის შესახებ.

აზერბაიჯანისა, საქართველოს და სომხეთის შრომის სახალხო კომისარიატებს

სოციალური დაზღვევის სამმართველოსათვის.

ამ უკანასკნელ ხანს ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის სოციალური დაზღვევის მთავარ-სამმართველოში ა/კსფსრ შემავალ სხვა-და სხვა რესპუბლიკიდან მოდიან ავადმყოფები ტფილისში სამკურნალოდ, რისთვისაც დაცული არ არის ხოლმე ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს 1925 წლის დეკემბრის 18-ს თარიღისა და მე-4 №-რის დადგენილება „ა/კსფსრ ერთი ადგილიდან მეორე ადგილას ავადმყოფების სამკურნალოდ გაგზავნის წესის შესახებ“. ავადმყოფი გამოცხადდება ხოლმე არა მარტო თავისი საკუთარი სურვილით, არამედ ხშირად იგი გამოგზავნილია ხოლმე დამზღვევი ორგანოების მიერ და ამასთანავე ეს ორგანოები სხვა-და-სხვა-გვარად გზას უქცევენ ზემოაღნიშნულ დადგენილებას: ჰგზავნიან უკურნებელ ავადმყოფს, თანაც მოწმობას აძლევენ—ეს ავადმყოფი ჩვე-

ნი დამზღვევი სალაროს მონაწილეა, ტფილისში მიდის და მას უფლება აქვს მიიღოს უფასოდ სამკურნალო დახმარებაო; სხვა დამზღვევი ორგანოები-კი აძლევენ ავადმყოფს ბიულეტენს, რომელშიაც აღნიშნავენ დიაგნოზს და იმას, რომ მისთვის საჭიროა სპეციალური მკურნალობა, თანაც დაურთავენ—უფლება აქვს გამგზავრებისა და სხვ. რამ ამისთ.

ასეთ ავადმყოფთა უმეტესობამ არ იცის სათანადო წესი ავადმყოფთა წარმართვისა და ამის გამო ისინი ხშირად ტფილისის დამზღვევ ორგანოებს გასაჭირში აყენებენ, მით უფრო, რომ ტფილისის სამკურნალო დაწესებულებანი, მეტისმეტად დატვირთულნი არიან, ავადმყოფების მიღება არ შეუძლიანთ და უკანასკნელნი იძულებულნი ხდებიან უკან დაბრუნდნენ, რისთვისაც ხშირად მოითხოვენ ხოლმე საცხოვრებელ და გზის ფულს.

ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატის სოციალური დაზღვევის მთავარ-სამმართველოს ასეთი ვითარება საქმისა შეუსაბამოდ მიაჩნია და წინადადებას გაძლევთ განუმარტოთ ყველა თქვენს ქვემდებარე დამზღვევ ორგანოს, რომ მათ უკლებლივ უნდა შეასრულონ ყველა ფორმალური მხარე ავადმყოფთა წარმართვისა, რაც აღნიშნულია 1925 წ. დეკემბრის 18-ს თარიღისა და მე-4 №-რის დადგენილებაში, და რომ ამიერიდან ასეთი გზის აქცევა ამა დადგენილებისათვის გამოიწვევს იმას, რომ ყველა ავადმყოფი, რომელიც-კი გარეშე აღნიშნული დადგენილების შესრულებისა, სპეციალური მკურნალობისათვის იქნება გამოგზავნილი,დაუყონებლივ უკანვე იქნება დაბრუნებული. ამასთანავე ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატის სოციალური დაზღვევის მთავარ-სამართველო არავითარ პასუხისმგებლობას არა კისრულობს იმისათვის, რაც მოჰყვება ზემოხსენებული დადგენილების შეუსრულებლობას.

ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატის
სოც. დაზღ. მთავარ-სამმართველოს უფროსი **იაშვილი.**

ექიმი-კონსულტანტი **გოლდმანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1144 №-ში 1926 წ. აპრილის 7-ს.

დადგენილება № 19 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა

1926 წ. აპრილის 2.

626. დროებითი შრომის უუნარობისათვის გასაცემი დახმარების მაქსიმალური რაოდენობის შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ამიერკავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1926 წ. მარტის 25-ს თარიღისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და 76|609 №-რის დადგენილება „დროებითი შრომის უუნარიობსათვის გასაცემი დახმარების მასქიმალური რაოდენობის შესახებ“.

2. ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღებისათანავე გაუქმებულია ყველა წინანდელი დადგენილება, რაც ამა დადგენილებას ეწინააღმდეგება.

ა|კ. შრ. სახ. კომისარი და ა|კ. შრ. სახ. კომ. სოციალური
დაზღვევის მთავარ-სამმართველოს უფროსი ა. **იაშვილი.**

საერთო საორგანიზაციო განყ. გამგე **ნასყიდაშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1144 №-ში 1926 წ. აპრილის 7-ს.

დადგენილება ა|კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

1926 წ. აპრილის 6

(განმკარგ. სხდ. № 19(6)

627. საძოვრებზე ნერბი-ცხვრის გადაზიდვის საშელავათო ტარიფის გავრცელების შესახებ კრავისა, ბატკნისა და ვერძი-ცხვრის გადაზიდვაზე.

ა|კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის 1926 წ. აპრილის 1-ლის თარიღის დადგენილებით (განმკ. სხდ. № 16(6) საზაფხულო საძოვრებზე გასარეკი ნერბი-ცხვრის სადგ. ქიურდამირიდან სადგ. აქსტაფასა და ფოილომდე გადაზიდვისათვის (სსრკ რკ. გზ. ტარიფ. კრებ. მე-II ნაწ., მე-10 პოზ., ტვირთი 34) დაწესებული, და გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს ა|წ. აპრილის 4-ს თარიღის 1142 №-ში გამოქვეყნებული, ნორმალურ ტარიფზე 25 პროცენტით შემცირებული საშელავათო ტარიფი გავრცელებულ იქნეს აგრეთვე ვერძი-ცხვრისა (სსრკ რკ. გზ. ტარიფ. კრებ. მე-6 პოზ., ტვ. 34), კრავისა (სსრკ რკ. გზ. ტარიფ. კრებ. მე-II ნაწ., მე-11 პოზიც., ტვ. 34) და ბატკანის (იმავე ჯგუფის მე-7 პოზ.) გადაზიდვაზე.

ა|კ. რკ. გზ. გამგ. არს. საუწყ. სატ. თათბირის თავმჯდომარის
მოადგილე და ა|კ. რკ. გზ. გამგეობის წევრი **ფიცხელაური.**

სატარიფო თათბ. საქმ. მმართველი **შახბუდაღოვი.**

ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-“ს 1144 №-ში 1926 წ. აპრილის 7-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1470 აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

(მოწესრიგების სამმართველო)

1926 წ. მარტის 1.

628. მაზუთის ფასის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26 თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნ. თანახმად აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1924 წ. დეკემბრის 15-ს თარიღისა და 22 №-რის, დადგენილების გასაუქმებლად, ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს შემდეგი უკიდურესი საბითუმო საგასაცემო ფასები საქართველოს სსრ სმუს-ის სათბობი მასალის განყ. მაზუთზე:

ა) ფრანკო—სათბობი მასალის განყ, საწყობი:

ტფილისში და ნავთლულში . . .	66 კაპ.	ერთ ფუთზე
ქუთაისში	77 კაპ.	„ „
ბათუმში	79,5 კაპ.	„ „

ბ) ფრანკო—ცისტერნა:

სადგ. ტფილისი და ნავთლული . .	64 კაპ.	„ „
„ ავჭალა	66,5 კაპ.	„ „
„ ქსანი	68 კაპ.	„ „
„ გომი	71,5 კაპ.	„ „
„ ბორჯომი	72 კაპ.	„ „
„ წნორის-წყალი	72 კაპ.	„ „
„ თელავი	72,5 კაპ.	„ „
„ ქუთაისი	73,5 კაპ.	„ „
„ სამტრედია	73,5 კაპ.	„ „
„ ტყიბულა	74 კაპ.	„ „
„ ფოთი-პორტი	74,5 კაპ.	„ „
„ ჭიათურა	75,5 კაპ.	„ „

2. დაწესებულ იქნეს შემდეგი უკიდურესი საბითუმო-საგასაცემო ფასები სომხეთის სსრ სმუს-ის ნავთზე;

ა) ფრანკო-ცისტერნა სადგ. ერივანი—71,5 კაპ. ერთ ფუთზე;

ბ) ფრანკო-სომხეთის სსრ სმუს-ის საწყობი და ერივანი—73,5 კაპ. ერთ ფუთზე.

3. დაევალოს აკსფსრ შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს სომხეთის სსრ-ში დააწესოს სომხეთის სსრ ტერიტორიისათვის მაზუთის შემდგომი უკიდურესი საბითუმო-საგასაცემო ფასები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაევალოს ა|კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს აზერბაიჯანის სსრ-ში დააწესოს აზერბაიჯანის სსრ ტერიტორიისათვის მაზუთის უკიდურესი საბითუმო-საგაცემო ფასები.

5. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა|კსფსრ-ში შემავალი თვითეულ რესპუბლიკაში უნდა იქონიოს მეთვალყურება ამა დადგენილების სისწორით აღსრულებისათვის

6. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა|კ. შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისარი **ერქომაიშვილი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1145 №-ში 1926 წ. აპრილის 8-ს.

დადგენილება № 20 ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1926 წ. აპრილის 1-ს.

629. საშუალო სამედიცინო პერსონალის ზოგიერთი კატეგორიის სამუშაო დროის შესახებ.

ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1923 წ. აპრილის 18-ს დამტკიცებული „სამკურნალო სასანიტარო და სავეტერინარო საქმის დაწესებულების სამუშაო დროის დებულების" (ა|კსფსრ შრომის მომქ. კანონმდ. კრებ., 1926 წ. გამოც., მუხ. 280) 1-ლი მუხლის შესაცვლელად ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. ყველა იმ პირისათვის, რომელიც საშუალო სამედიცინო პერსონალის მოვალეობას ასრულებს (მოწყალების და, ფერშალი, ფარმაცევტი და სხვ.), იმის მიუხედავად, თუ რა სამედიცინო წოდებისაა, ნორმალური სამუშაო დღე არ უნდა აღემატებოდეს რვა საათს, უკეთუ იგი მუშაობს შემდეგ დაწესებულებაში:

ა) ქრონიკული ავადმყოფობით შეპყრობილთა სამკურნალოში;

ბ) პირველი დახმარების პუნქტზე საწარმოსა, დაწესებულებასა და ტრანსპორტში;

გ) სასწრაფო დახმარების სადგურსა და პუნქტზე და ავადმყოფთა გადაზიდვის საქმეში;

დ) ლაბორატორიასა და ინსტიტუტში—პრეპარატორებისა და იმ პირთათვის, ვინც ტეხნიკურ სალაბორატორიო სამუშაოს ასრულებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) ბაგაში;
ვ) საბავშვო სარძეო სამზარეულოში;
ზ) ჩვილთა სახლში;
თ) დედისა და ბავშვის სახლში;
ი) ბავშთა სახლში;
კ) ინვალიდთა სახლში;
ლ) დასვენების სახლში;
მ) ისეთ ავადმყოფთა სანატორიუმში, რომელთაც არ სჭირდებათ წოლით ყოფნა ან მუდმივი, შეუწყვეტელი მოვლა.

შენიშვნა 1. დადგენილება ესე არ გავრცელდება იმ აფთიაქის მომუშავეზე, რომელიც მომსახურეობას უწევს სანატორიუმს ან დასვენების სახლს.

შენიშვნა 2. ამა თუ იმ რესპუბლიკის შრომის სალხთა კომისარიატი, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან და სამედიცინო-სასანიტარო მომუშავეთა კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან ერთად, დაადგენენ იმ დაწესებულებათა სიას, რომლებზედაც გავრცელდება ამა მუხლის „ა“, „ბ“ და „დ“ პუნქტები.

2. 1-ლ მუხლში ჩამოთვლილი კატეგორიების მომუშავეთა სამუშაო დღე მათი სამუშაო ხასიათის მიხედვით და სათანადო დაწესებულებათა მოქმედებისა დროსთან შეთანხმებით, შეიძლება დანაწილდეს რამდენსამე პერიოდზე იმ ანგარიშით, რომ მუშაობა ორჯერზე მეტად არ იქნეს შეწყვეტილი დღეში და რომ თვითეული შეწყვეტის ხანგრძლიობა ორ საათს არ აღემატებოდეს; ამასთანავე, ამ შემთხვევაშიაც სამუშაო დროის საერთო ხანგრძლიობა არ უნდა აღემატებოდეს სამუშაო საათების ნორმალურ თვიურ რაოდენობას.

შენიშვნა. მუშაობის მოგვარება და შეწყვეტის ხანგრძლიობა დამყარებულ უნდა იქნეს შინა-განწესრიგებით.

3. იმ პირთა სამუშაო დრო, ვინც საშუალო სამედიცინო პერსონალის მოვალეობას ასრულებს ისეთ დაწესებულებაში, რომელიც აღნიშნული არ არის ამა დადგენილების 1-ლ მუხლში, მოწესრიგდება „სამკურნალო-სასანიტარო საქმის დაწესებულების სამუშაო დროის“ დებულების 1-ლ მუხლისამებრ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისრის
მოადგილე **ა. იაშვილი.**

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის
შრომის დაცვის განყ. გამგის მაგიერ **ნასყიდოვი.**

შეთანხმებულია: ა/კ. პროფ. კავშირთა საბჭო **ე. შეფტელი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1146 №-ში 1926 წ. აპრილის 9-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება აპ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

1926 წ. აპრილის 13.

(განმკარგ. სხდ. № 21—6).

630. **ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის დასათვარიელებლად საქართველოს რესპუბლიკის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მიერ მოწყობილ ექსკურსიებისათვის საექსკურსიო ტარიფის დაწესების შესახებ.**

ზემო- ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის დასათვარიელებლად საქართველოს რესპუბლიკის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მიერ მოწყობილ ექსკურსიების სამგზავროდ ტფილისის სადგურიდან მცხეთის სადგურამდე—წინაუკმოდ—დაწესებულ იქნეს საექსკურსიო ტარიფო 20 კაპ. რაოდენობით იქ (ტფილისი—მცხეთა) წასვლისათვის და 20 კაპ. რაოდენობით უკან (მცხეთა—ტფილისს) დაბრუნებისათვის იმ პირობით, რომ თვითეულ ექსკურსიაში 500 კაცზე ნაკლები არ იყოს იმ სპეციალურ საექსკურსიო მატარებლით მიმოსვლისათვის, რომელიც ივლის **ზაჰეს** უქმე-დღეებში მაგარი სამგზავრო ვაგონების შედგენილობით.

საექსკურსიო ტარიფის შეფარდებისათვის საჭიროა წარდგენილ იქნეს გამგზავრებისა და მისვლის სადგურზე ექსკურსანტების სახელობითი სია, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მიერ შემოწმებული.

მიმოსვლა იწარმოებს, სამგზავრო ბილეთების ნაცვლად, სამგზავრო სისწრაფის დოკუმენტებით.

ტარიფი ესე სამოქმედ შემოღებულ იქნეს ტელეგრაფით და დაწესდეს 1926 წ. ოქტომბრის 1-დე.

საუწყებათაშორისო სატ. თათბ. თავმჯ. მაგიერ
ა/კ. რკ. გზების გამგეობის წევრი **მამედბეკოვი.**

სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველი **შახბუდაღოვი.**

ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1151 №-ში 1926 წ. აპრილის 15-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა აკსფსრ სახალხო კომისარიათა საგან.

631. გზათა-მშენებლობისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს ა|კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს დააწესონ რესპუბლიკანური ბიუჯეტის შედგენილობაში გზათა-მშენებლობის ხარჯი, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს რესპუბლიკანური გზების გაყვანისა და შეკეთებისათვის, თანახმად არსებული წესისამებრ დამტკიცებული გეგმისა,

2. ნებადართულ იქნეს გზათა-მშენებლობისათვის საჭირო საშენი ხე-ტყის მიცემა რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებიდან (მუშაობის ადგილზე ახლო მდებარე ტყეებიდან) შემდეგი პირობით: ა) რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებისთვის— სამორე სასყიდლის ნიხრის 50 პროც. დაკლებით და ბ) ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისთვის—სამორე სასყიდლის გადაუხდევინებლად.

3. ხებადართულ იქნეს უსასყიდლოდ ამოღება ქვისა, ხრეშისა, ქვიშისა და თიხისა, როგორც გზების ახლო მდებარე რესპუბლიკანური და ადგილობრივი კარიერებიდან და რეზერვებიდან, ისე სხვა რაიონების საბადო ადგილებიდან.

4. სათანადო რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ 1-სა და მე-2 მუხ. აღნიშნულ კანონების გამოცემისა და განკარგულების მოხდენის შემდეგ, მიენდოს ა|კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან და გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მყ.) შეთანხმებით, გამოსცეს ერთი თვის განმავლობაში ინსტრუქცია ამა დადგენილებაში აღნიშნული კანონების შეფარდებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **აღამალი-ოღლი.**

ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგ. **მ. ჰუსეინოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. აპრილის 12. ტფილისი-სასახლე,

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1152 №-ში 1926 წ. აპრილის 16-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

632. საფინანსო კონტროლის დებულების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება საფინანსო კონტროლის შესახებ.

დებულება საფინანსო კონტროლის შესახებ.

1. ზოგადი დებულებანი.

1. საფინანსო კონტროლი არის ა|კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, ა|კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სასალხო კომისარიატებისა და მათი რწმუნებულების (მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში) გამგებლობაში.

2. საფინანსო კონტროლის ორგანოებად არიან:

ა) ა|კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის საფინანსო-საკონტროლო სამმართველო და

ბ) ა|კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების საფინანსო-საკონტროლო განყოფილებანი, მათი ქვემდებარე საკონტროლო დაწესებულებანი მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში და სამაზრო საფინანსო განყოფილებათა საკონტროლო ქვე-განყოფილებანი.

შენიშვნა. ა|კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება აქვს, ფედერატიული მნიშვნელობის ბრუნვისა და ოპერაციების ხასიათის მიხედვით, ამ ბრუნვისა და ოპერაციების რევიზია ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სათანადო საფინანსო-საკონტროლო ორგანოებს გადასცეს.

3. საფინანსო კონტროლი თვალყურს ადევნებს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის სისწორით შესრულებას და ამ ბიუჯეტებზე მყოფი დაწესებულებების ფულად და მატერიალურ სახსართა მთლიანობას მით, რომ შაემოწმებს ხოლმე სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა და საწარმოთა ყველა ფულად და მატერიალურ ბრუნვას და აგრეთვე ბანკებისა და სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სხვა საწარმოთა და დაწესებულებათა ყველა ოპერაციას რაც სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯით იქნება წარმოებული.

4. ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს, აგრეთვე ა|კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებისა და ეკონომიური თათბირების დადგენილებით საფინანსო კონტროლს შეი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლება დაეკისროს ისეთი დაწესებულებისა და საწარმოს ბრუნვის შემოწმება, რომელიც სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე არ იმყოფება.

5. საფინანსო კონტროლი:

ა) მოახდენს ფულადი და მატერიალური ფასეულობის შემოსავლისა, ხარჯისა და ბრუნვის შემდგომ შემოწმებას დავთრებისა და დოკუმენტების დედნების მიხედვით;

ბ) მოახდენს ფულადი და მატერიალური ფასეულობისა, ნაგებობისა, შენობისა და ყოველგვარ წარმოებითი და დამმზადებითი ოპერაციების ფაქტიურ რევიზიას;

გ) მოახდენს ყველა უწყების სალაროების უეცარ შემოწმებას;

დ) მონაწილეობას მიიღებს საბიუჯეტო მუშაობაში სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის შედგენისა და განხილვისათვის;

ე) თვალყურს ადევნებს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის კრედიტების სისწორით განასიგნვებას და გადანაცვლებას;

ვ) შეადგენს საკავშირო და რესპუბლიკანური ბიუჯეტების შესრულების საბუხჰალტრო და სარევიზიო ანგარიშს და აგრეთვე ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების სარევიზიო ანგარიშს;

ზ) მიიღებს ლონისძიებას საბიუჯეტო და საანგარიშო დისციპლინის დასაცავად და აგრეთვე ანგარიშვალდებულ დაწესებულებისა და პირის არაკანონიერი მოქმედებით ხაზინისათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად, თანახმად განსაკუთრებული დებულებისა;

თ) თვალყურს ადევნებს, რათა წესიერად იყოს დაყენებული ანგარიშწარმოებისა და ანგარიშგების საქმე სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ყველა დაწესებულებაში, რომელსაც ამ ბიუჯეტების მიხედვით გადაცემული აქვს თანხები,—ამ თანხების ბრუნვის ფარგალში.

ი) შეიმუშავებს საფინანსო კონტროლის სფეროში საკანონმდებლო პროექტებს.

6. რევიზიის მოხდენის დროს საფინანსო კონტროლმა უნდა განიხილოს, რამდენად კანონიერია, სწორია, მეურნეობრივად მიზანშეწონილია და ხელსაყრელია ყოველი შესამოწმებელი ბრუნვა და დარწმუნდეს, რომ უკლებლივ დაცულია ის ფულადი და მატერიალური სახსარი, რაც ანგარიშვალდებულ ადგილისა და პირის ხელშია.

7. უკვეთუ რევიზიის დროს აღძრულ ამა თუ იმ საკითხის გამორკვევა წარდგენილი დამამტკიცებული დოკუმენტებით შეუძლებელი იქნება, საფინანსო კონტროლს ნება აქვს:

ა) მოსთხოოს ანგარიშვალდებულ დაწესებულებასა და სახელმწიფო დაწესებულების ყველა ქვემდებარე ორგანოს და პირს, სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ორგანოს გამოუკლებლივ, რევიზიისათვის საჭირო დამატებითი ცნობა და დოკუმენტი და, თუ საჭირო იქნება, საქმის დედანიც;

ბ) წარავლინოს საფინანსო კონტროლის თანამდებობის პირი სპეციალური გამოკვლევის მოსახდენად და დავთრებიდან და საქმეებიდან „ა“ პუნქ. აღნიშნული ცნობის ამოსაკრეფად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მიიწვიოს, თუ საჭირო იქნება, იმავე დაწესებულების თანამდებობის პირნი რევიზიის დროს წარმოშობილი გაუგებრობის განსამარტავად.

8. საფინანსო კონტროლის წარვლინებული თანამშრომლის გამოცხადებისათანავე, ანგარიშვალდებული დაწესებულება დაუყოვნებლივ გადასცემს მას საჭირო ცნობებსა, მისცემს განმარტებას, გადუშლის მის მიერ მოთხოვნილ დავთრებსა, საქმეებს და დოკუმენტებს და, მოთხოვნისამებრ, მისცემს მას წერილობით ცნობას და დოკუმენტების შემოწმებულ ასლს.

9. ის ანგარიშგება, ცნობა, დოკუმენტი და საქმე, რაც სახელმწიფო საიდუმლოებას შეადგენს, გაიგზავნება საკონტროლო დაწებულებაში ან წარედგინება ანგარიშვალდებულ დაწესებულებაში წარვლინებულ საფინანსო კონტროლის თანამშრომელს კონტროლისა და ანგარიშვალდებულ სათანადო დაწესებულებათა შეთანხმებით დამყარებულ წესისამებრ.

10. ანგარიშგების რევიზიისა და ანგარიშვალდებული დაწესებულების მიერ წარდგენილი დამატებითი განმარტების განხილვის შემდეგ, საფინანსო კონტროლის დაწესებულება დაამტკიცებს იმ ბრუნვას, რაც, მის აზრით, სწორია, კანონიერია, მიზანშეწონილია და ხაზინისათვის ხელსაყრელია; ხოლო იმ ზარალის თანხების გამო, რაც არაკანონიერი, არასწორი, არამიზანშეწონილი და არახელსაყრელი მოქმედებით არის მიყენებული, იგი შეუფარდებს საკონტროლო ზედმოქმედების ღონისძიებას, თანახმად ა|კ. ცენ. აღმ. კომიტ. და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებისა— ა|კსფსრ-სა და მასში შემავალი რესპუბლიკების საფინანსო კონტროლის დაწესებულებათა მიერ შესაფარდებელ დანაზღთა და სხვა საზედმოქმედო ღონისძიებათა შესახებ.

11. უკვე რევიზიის დროს დამტკიცებული ბრუნვის გამო შემდგომი სარევიზიო მოქმედება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ გამოაშკარავებულ იქნება ახალი რამ გარემოება და ისიც არა უგვიანეს სამის წლის ხანდაზმულობის გასვლისა ანგარიშგების დამტკიცების დღიდან.

12. რევიზიის დროს გამოაშკარავებული სისხლის სამართლის წესით დასასჯელი ქმედობის ნიშნების შესახებ საფინანსო კონტროლი აცნობებს საპროკურორო ზედამხედველობას და რევიზია-მოხდენილი დაწესებულებისა თუ პირის უფროსს.

სასამართლოს წესით წარმართული საქმის გამო საფინანსო კონტროლი მოვალეა გამოიანგარიშოს იმ ზარალისა და დანაკლისის თანხა, რაც გადახდევინებულ უნდა იქნეს, და რისთვისაც სამოქალაქო სარჩელი უნდა აღიძრას სისხლის სამართლის სასამართლოში.

13. უკეთუ სისხლის სამართლის წესით დევნა მოსპობილ იქნა და სისხლის სამართლის სასამართლოში სამოქალაქო სარჩელი განუხილველად იქნა დატოვებული, მიყენებული ზარალის გადახდევინება შეიძლება განგრძნობილ იქნეს სარევიზიო წესით.

14. იმ წესებს, რომლითაც განისაზღვრება წესი დოკუმენტალური ანგარიშგების შემოწმებისა, ფაქტიური რევიზიის წარმოებისა და რევიზიის დამთავრებისა, რამდენადაც ეს წესები ა|კსფსრ-სა და მასში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტების ბრუნვათ ეხება, დაამტკიცებს ა|კ. ფინანსთა სახალხო კომისარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. ანგარიშვალდებულ დაწესებულებათა მოვალეობანი საფინანსო კონტროლის მიმართ.

15. მე-3 მუხ. ანიშნული ყველა დაწესებულება და საწარმო მოვალეა წარუდგინოს საფინანსო კონტროლის დაწესებულებას დოკუმენტალური ანგარიშგება, რომლითაც მთლად გამართლებულ უნდა იქნეს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტისა, დეპოზიტისა და სპეციალური და სხვა სახსარის ფულადი და მატერიალური ფასეულობის ბრუნვა.

ამას გარდა, ყველა სახალხო კომისარიატი წარადგენს აკსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში აკსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებში და რწმუნებულთა სამმართველოებში,—კუთვნილებისამებრ—წლიურ ანგარიშს თავის საფინანსო ხარჯთაღრიცხვის შესრულების შესახებ და თვიურ ბალანსს ან ხართაღრიცხვის ბრუნვისას.

16. ანგარიშგება წარიდგინება სარევიზიოდ ყოველთვე არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა; ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა წლიური ანგარიში,—იგი წარიდგინება არა უგვიანეს თვენახევრისა საანგარიშო წლის გასვლიდან.

შენიშვნა. ამა მუხლით დაწესებული ვადა, უკეთუ საჭირო იქნება, შეიძლება განგრძობილ იქნეს ამა თუ იმ დაწესებულებისა ან ოპერაციისათვის, ანგარიშვალდებული დაწესებულებისა და საფინანსო კონტროლის ორგანოს შსთანხმებით

17. ანგარიშვალდებული დაწესებულება მოვალეა აცნობოს საფინანსო კონტროლის სათანადო ორგანოს, სახელდობრ რომელ თანამდებობის პირს აქვს დაკისრებული პასუხისმგებლობა სარევიზიოდ ანგარიშების სრულად და თავისდროზე წარდგენისათვის.

18. ანგარიშგების წარუდგენლობამ დაწესებულ ვადაზე (მუხ. 16) არა პატივსადებ მიზეზით შეიძლება გამოიწვიოს, საკონტროლო თათბირის დადგენილებისამებრ, დამნაშავე თანამდებობის პირის წინააღმდეგ დევნა დისციპლინარული ან სისხლის სამართლის წესით.

19. ყოველი არაჩვეულებრივი შემთხვევა, როგორიც არის, მაგალითად, იმ პირის უეცარი სიკვდილი ან უკვალოდ გარიდება, რომლის მოვალეობასაც ქონების შენახვა შეადგენდა, აგრეთვე ქონების გაფლანგვისა ან გაქურდვის გამოაშკარავება, ხანძარისაგან, წყალდიდობისაგან, მატარებლის კატასტროფისაგან და სხვ. ქონების განადგურება, ანგარიშვალდებულმა დაწესებულებამ თუ პირმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საფინანსო კანტროლს; ამასთანავე, უკვეთუ შემმოწმებელი დაწესებულება იმ ადგილას არ იმყოფება, სადაც შემთხვევა მოხდა, შეტყობინება ტელეგრაფით გაიგზავნება.

20. ფაქტიური რევიზიის დროს ანგარიშვალდებულმა დაწესებულებამ თუ პირმა ყოველგვარი საშუალება უნდა იხმაროს, რათა ფაქტიური შემოწმება დაუბრკოლებლივ სწარმოებდეს და სრული დახმარება უნდა გაუწიოს საფინანსო კონტროლის მიერ წარვლინებულ პირს მისთვის დაკისრულებული მოვალეობის წარმატებით შესრულებისათვის.

21. რევიზია-მოხდენილი დაწესებულების უფროსი, მიიღებს თუ არა საფინანსო კონტროლის სარევიზიო შენიშვნას ფულადი და მატერიალური ქონების ისეთი ბრუნვის გამო, რაც ეჰვს იწვევს ამ ბრუნვის კანონიერებისა, სისწორისა, მიზანშეწონილობისა და ხელსაყრელობის თაობაზე, აგრეთვე რაც საჭიროებს დამატებითი ცნობებისა და ახსნა-განმარტების წარდგენას, მოვალეა მოსთხოოს ახსნა-განმარტება იმ თანამდებობის პირს, რომელის მოქმედებამაც გამოიწვია სარევიზიო შენიშვნა. წარდგენილ ახსნა-განმარტებას —თავის დასკვნითურთ— დაწესებულების უფროსი შეატყობინებს საფინანსო კონტროლს არა უგვიანეს ორი კვირისა სარევიზიო დასკვნის მიღების დღიდან. ანგარიშვალდებული პირისაგან მოთხოვნილი ახსნა-განმარტების მიუღებლობა როდი ანთავისუფლებს დაწესებულების უფროსს საფინანსო კონტროლისათვის თავისი დასკვნის აღნიშნულ ვადაზე შეტყობინებისაგან.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული ორი კვირის ვადა, უკეთუ საჭირო იქნება, შეიძლება განგრძნობილ იქნეს ანგარიშვალდებული დაწესებულებისა და საფინანსო კონტროლის სათანადო ორგანოს შეთანხმებით.

22. უკეთუ რევიზია-მოხდენილი დაწესებულების უფროსი სცნობს, რომ სარევიზიო შენიშვნა სწორეა, იგი დაუყოვნებლივ მიიღებს ღონისძიებას შეხიშნული ნაკლის ასაცილებლად და ხაზინისათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად, რასაც საფინანსო კონტროლს აცნობებს არა უგვიანეს 21 მუხლში აღნიშნული ვადისა.

შენიშვნა. სარევიზიო შენიშვნაზე ცნობისა, ახსნა-განმარტებისა და დასკვნის დაწესებულ ვადაზე წარუდგენლობა ვერ შეაჩერებს საქმის გადაწყვეტას საფინანსო კონტროლისა თუ საკონტროლო თათბირის მიერ მის განკარგულებაში ქონებული ცნობების მიხედვით.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ალამალი-ოღლი.**

ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. დ. ჰუსეინოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. აპრილის 12. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1152 №-ში 1926 წ. აპრილის 16-ს.

დადგენილება № 17/73 აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

(მოწესრიგების სამმართველო)

1926 წ. აპრილის 10.

633. საპნის საბითუმო-საგასაცემო ფასების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე 3 მუხ. „გ“ პუნქტის თანახმად, აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1925 წ. თებერვლის 24-ს თარიღისა და 29 № რის, დადგენილების გასაუქმებლად, ადგენს:

§ 1. დაწესებულ იქნეს შემდეგი საბითუმო-საგასაცემო ფასები საქართველოს სსრ სმუს-ის საფეიქრო-საზეთო-სასაპნე ტრესტის ქარხნის „მამლი“-სა, „ტოლლე“-ს და „მარმარილო“-ს საპონზე—ტფილისში ფრანკო-ქარხანა:

ა) სახელმწიფო ორგანოებისათვის და კოოპერაციისათვის:

1. „მამლის“ საპონი 1 ფუთი ნეტტო—7 მან.
2. „ტოლლე“-ს საპონი 1 ფუთი ნეტტო—7 მან.
3. „მარმარილო-“ს საპონი 1 ფუთი ნეტტო—6 მან. და 20 კაპ.

ბ) კერძო ვაჭრობისათვის დაწესებულ იქნეს იგივე ფასები, რასაც დაემატოს „მამლისა“ და „ტოლლე“-ს საპონს—3 პროც, ხოლო „მარმარილო“-ს საპონს—4 პროც.

§ 2. მაგარი ცხიმის პროცენტული შედგენილობა საქართველოს სსრ სმუს-ის საფეიქრო-საზეთო-სასაპნე ტრესტის წარმოების საპონში განისაზღვრება: „მამლისა“ და „ტოლლეს“-ს საპნისათვის მინიმუმ 64 პროცენტით, ხოლო“ მარმარილო“-ს საპნისათვის—48 პროცენტით.

§ 3. საქართველოს სსრ სმუს-ის საფეიქრო-საზეთო-სასაპნე ტრესტის საწყობებში საპნის ხელოქონებული მარაგი, რომელშიაც მაგარი ცხიმის პროცენტული შედგენილობა ამა დადგენილების მე-2 §-თ განსაზღვრულ ნორმებზე ნაკლებია, განაღდებულ უნდა იქნეს შემდეგ ფასად:

ა) სახელმწიფო ორგანოებისათვის და კოოპერაციისათვის;

თითო ყუთი „ტოლლე“-ს საპონი—11 მან. და 75 კაპ.

თითო ყუთი „მამლის“ საპონი 20 მან. 75 კაპ.

ბ) კერძო ვაჭრობისათვის:

თითო ყუთი „ტოლლე“-ს საპონი—12 მან.

თითო ყუთი „მამლის“ საპონი—21 მან.

§ 4. ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1925 წლის თებერვლის 24-ს თარიღისა და 29 №-რის დადგენილებით სახელმწიფო ორგანოებისათვის და კოოპერაციისათვის დაწესებული ზომოაღნიშნული ხარისხის საპნის ცალობითი ფასები ამა დადგენილებით გაუქმებულია.

§ 5. ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს აზერბაიჯანის სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში წინადადება ეძლევათ დაამყარონ სასწრაფო წესით სათანადო რესპუბლიკაში ადგილობრივი წარმოების საპნის უკიდურესი ფასები.

§ 6. ა/კ. შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში და მის ადგილობრივმა ორგანოებმა მეთვალყურეობა უნდა იქონიონ ამა დადგენილების სისწორით შესრულებისათვის.

§ 7. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

§ 8. დადგენილება ესე ძალში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა.კ. შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისარი **ერქომაიშვილი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსის
მოადგილე **მერკუროვი.**

საქმეთა მმართველი **ჩაკერტი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1153 №-რში 1926 წ. აპრილის 17-ს.

დადგენილება № 18/74 აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1926 წ. აპრილის 17.

(მოწესრიგების სამმართველო)

634. მაზუთის ფასის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ" 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ" პუნ. თანახმად, აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1926 წ. მარტის 31 თარიღისა და 1470 №-რის, დადგენილების ვასაუქმებლად, ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს შემდეგი უკიდურესი საბითუმო-საგასაცემო ფასები საქართველოს სათბობი მასალის განყოფილების მაზუთზე:

ა) ფრანკო—სათბობი მასალის განყოფ. საწყობი:

ტფილისში და ნავთლუღში . . .	71	კაპ.	ერთ ფუთზე
ქუთაისში	82	„	„ „
ბათუმში	84,5	„	„ „

ბ) ფრანკო-ცისტერნა:

სადგ. ტფილისი და ნავთლუღი .	69	კაპ.
„ ავჭალა	71,5	„

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადგ. ქსანი	73	კაპ.
„ გომი	76,5	„
„ ბორჯომი	77	„
„ წნორის-წყალი	77	„
„ თელავი	77,5	„
„ ქუთაისი	78,5	„
„ სამტრედია	78,5	„
„ ტყიბულა	79	„
„ ფოთი-პორტი	79,5	„
„ ჭიათურა	80,5	„

2. დაწესებულ იქნეს შემდეგი უკიდურესი საბითუმო-საგასაცემო ფასები სომხეთის სსრ სმუს-ის მაზუთზე:

ა) ფრანკო—ცისტერნა სადგ. ერივანი—76,5 კაპ. ერთ ფუთზე;

ბ) ფრანკო—სომხეთის სსრ სმუს-ის საწყობი ერივანში—78,5 კაპ. ერთ ფუთზე.

3. დაეავალოს ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს სომხეთის სსრ-ში დააწესოს სომხეთის სსრ ტერიტორისათვის მაზუთის შემდგომი საბითუმო-საგასაცემო ფასები.

4. დაევალოს ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს აზერბაიჯანის სსრ-ში დააწესოს აზერბაიჯანის სსრ ტერიტორიაზე მაზუთის უკიდურესი საბითუმო-საგასაცემო ფასები.

2. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემოვალ თვითეულ რესპუბლიკაში უნდა იქონიოს მეთვალყურეობა ამა დადგენილებისწორით აღსრულებისათვის.

6. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

7. დადგენილება ეს ძალაში შედის ა/წ. აპრილის 15 დან.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისარი **ერქომაიშვილი.**

მოწესრიგების სამმართველოს
უფროსის მოადგილე **მერკუროვი.**

საქმეთა მმართველი **ჩაკერტი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1158 №-ში 1926 წ. აპრილის 23-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

635. დაკარგული საცხოვრებელი დოკუმენტის განახლების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ის პირი, ვინც საცხოვრებელ დოკუმენტს დაჰკარგავს, მოვალეა დაუყონებლივ, დაკარგვის გამოაშკარავებისათანავე, სათანადო განცხადება წარუდგინოს მილიციას თავისი საცხორებელი ადგილისა ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც იგი დროებით იმყოფება; მილიცია განცხადებისთანავე შეადგენს სათანადო ოქმს.

შენიშვნა. მთლად მიწერ-მოწერა საცხოვრებელი დოკუმენტის დაკარგვის საქმეზე სწარმოებს დაინტერესებული პირის ხარჯით და ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიანთ დააწესონ საამისო სპეციალური გამოსაღები, რაც დაინტერესებულ პირთ გადახდებათ.

2. ოქმის ასლი მიეცემა დაინტერესებულ პირს, რომელიც მოვალეა თავისი ხარჯით მოადინოს პუბლიკაცია ერთ-ერთ ადგილობრივ ბეჭდითი ორგანოში. პუბლიკაციაში აღნიშნულ უნდა იქნეს: საცხოვრებელი დოკუმენტის სახელწოდება, მთავრობის ორგანო, რომელმაც იგი გასცა, გაცემის თარიღი და ნომერი, აგრეთვე გვარი, სახელი და მამის სახელი იმ პირისა, რომელსაც იგი მიეცა.

3. შვიდი დღის გასვლის შემდეგ დღიდან პუბლიკაციისა, საცხოვრებელი დოკუმენტის დამკარგველ პირს, პუბლიკაციისა და ოქმის ასლის წარდგენისათანავე, შეიძლება მიეცეს სათანადო დაწესებულების მიერ, დაკარგულის სანაცვლოდ, სხვა საცხოვრებელი დოკუმენტი, რომელსაც აუცილებლად უნდა გაუკეთდეს წარწერა: „დუბლაკატი მიცემულია დაკარგულის ნაცვლად“.

4 მილიციის ადგილობრივი ორგანო მოვალეა აცნობოს ხოლმე მილიციის სამმართველოს დაკარგული საცხოვრებელი დოკუმენტების სიის ასლი, ხოლო უაღრესი მნიშვნელობის შემთხვევაში, თვისი შეხედულებისამებრ, შეუძლიან თვით მიიღოს ღონისძიება დაკარგული საცხოვრებელი დოკუმენტის მოძებნისათვის.

5. უკეთუ საცხოვრებელი დოკუმენტი გზაშია დაკარგული, დამკარგველმა ეს საგზაო-სატრანსპორტო საგანგებო კომისიის ადგილობრივ ორგანოს უნდა განუცხადოს, ხოლო ეს უკანასკნელი ორგანო, დაკარგვის შესახებ ოქმის შედგენისათანავე, მისცემს დაზარალებულს ოქმის ასლსა და წერილობითი ცნობას, რომელშიაც აღნიშნულ უნდა იქნეს ის ადგილი, სადაც დამკარგველი მიდის ან მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და ვადა, რომლის განმავლობაშიაც ეს ცნობა დაკარგული დოკუმენტის მაგიერობას გასწევს.

ეს ვადა 3 თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

6. დაკარგული საცხოვრებელი დოკუმენტის მპოვნელი მოვალეა დაუყოვნებლივ წარადგინოს იგი ადგილობრივი მილიციის სამმართველოში, რომელიც წარმართავს ამ დოკუმენტს დანიშნულებისამებრ, ხოლო, უკეთუ ეს დანიშნულება გამოურკვეველია,—რესპუბლიკის მილიციის სამმართველოში

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ალამალი-ოღლი.**

ა|კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. აპრილის 12. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1161 №-ში 1926 წ. აპრილის 27.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

636. უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის დებულების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1, დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის შესახებ.

2. გაუქმებულ იქნეს ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგი დადგენილებანი.

ა) უცხოელთათვის საცხოვრებელი დოკუმენტის მიცემის წესის შესახებ.—1923 წლის მაისის 16 თარიღისა (ა|კსფსრ კან. კრებ. 1923 წ. მე-8 №-რი, მუხ. 107).

ბ) უცხოელთა ყოფნის შესახებ ა|კსფსრ ტერიტორიაზე,—1923 წ. ივლისის 23-ს თარიღისა (ა|კსფსრ კან. კრებ. 1923 წ. მე-10 №-რი, მუხ.1 57).

გ) საუცხოეთო საცხოვრებელი მოწმობის გაცემის წესის თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ,—1923 წ. დეკემბრის 30-ს თარიღისა და /1924 წ. ივნისის 19-ს თარიღისა (ა|კსფსრ კან. კრებ. 1924 წ. 1-ლი №-რი, მუხ. მე-8 და მე-5 №-რი, მუხ· 162).

და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) უცხოელთა რეგისტრაციისა და მათთვის სასჯელის დადების შესახებ საარეგისტრაციო წესების დარღვევისათვის და უდოკუმენტოდ ცხოვრებისათვის,—1925 წ. თებერვლის 16 თარიღისა (ა|ქსფს კან. კრებ. 1925 წ. მე-2-№-რი, მუხ. 369).

ე) უცხოელთა მიერ საცხოვრებელი დოკუმენტის განახლების ვადის შესახებ,—1925 წ. ნოემბრის 23-ს თარიღისა (ა|ქსფსრ კან. კრებ. 1925 წ. მე-11 №-რი, მუხ. 552).

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ალამალლი-ოღლი.**

ა|ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმდჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. აპრილის 12. ტფილისი-სასახლე.

დებულება უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის შესახებ.

ზოგადი დებულებანი

1. უცხოელი ეწოდება იმ სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელიც სსრკ შედგენილობაში არ შედის და რომლის მოქალაქესაც საამისო ნაციონალური პასპორტი აქვს და სსრკ მოქალაქედ არ ირიცხება.

სათანადო ნაციონალურ პასპორტად ითვლება:

ა) საზღვარგარეთ მიცემული ნაციონალური პასპორტი, რომელსაც აქვს საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობისა ან საკონსულოს ვიზა სსრკ-ში შესასვლელად და საკონტროლო-სასაზღვრო პუნქტის აღნიშნვნა;

ბ) ნაციონალური პასპორტი, იმ უცხოეთის დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობის (სსრკ-ში) მიერ მიცემული, რომელსაც, სსრკ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატთან დადებული ხელშეკრულებისა ან განსაკუთრებული შეთანხმების ძალით, ნაციონალური პასპორტის მიცემის უფლება აქვს.

2. მოქალაქეობის განსაზღვრის უფლება ეკუთვნის ა|ქსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებს.

3. ა|ქსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებისათვის, ამა დებულების თანახმად, მინიჭებული უფლებანი გავრცელდება ავტონომიურ რესპუბლიკებისა და მოკავშირე აფხაზეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებზე.

№ 4 ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს უფლებანი შეიძლება მიეცეს მუდმივ ან დროებით აგრეთვე სამაზრო მილიციის სამმართველოებს, თვითეულ ცალკე შემთხვევაში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებით, რაც გამოქვეყნებულ უნდა იქნეს საყოველთაო ცნობისათვის.

4. ყოველი ის პირი, ვინც აკსფსრ ტერიტორიაზე სცხოვრობს ან მოვა და საბჭოთა მოქალაქე-კი არ არის, მოვალეა ჰქონდეს სათანადო საცხოვრებელი დოკუმენტი და დაწესებულ ვადაზე გაანახლოს ხოლმე იგი.

შენიშვნა 1. საცხოვრებელი დოკუმენტის მიღებისას ყოველი პირი მოვალეა წარადგინოს ის დოკუმენტები, რომლითაც იგი სცოვრობდა. უკეთუ უცხოელს საცხოვრებელი დოკუმენტი არა ჰქონდა ან სხვა, საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიცემული, დოკუმენტი, და სცხოვრობდა ნაციონალური პასპორტით ან მისი მაგიერი დოკუმენტით,—მან უნდა წარადგინოს ამ პასპორტის თუ დოკუმენტის ასლი, ყველა შენიშვნების აღნიშვნით, რაც საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებს გაუკეთებიათ, და ეს შემოწმებულ უნდა იქნეს უცხოეთის სათანადო წარმომადგენლობის (სსრკ-ში) მიერ, რომელიც მას ახალ პასპორტს აძლევს.

შენიშვნა 2. უცხოელი მოქალაქე ქალი მუსლიმანი შეიძლება ჩაწერილ იქნეს ქმრისა ან მამის საცხოვრებელ დოკუმენტში, ვისთანაც იგი სცხოვრობს.

5. ყოველ პირს, რომელსაც 16 წელი შეჰსრულებია, ცალკე მიეცემა საცხოვრებელი დოკუმენტი. ის პირი, რომელსაც 16 წელი არ შეჰსრულებია, ჩაიწერება იმ პირის საცხოვრებელ დოკუმენტში, ვისთანაც იგი სცხოვრობს, მისი მოქალაქეობის აღნიშვნით.

6. 16 წელს მიღწეული პირი საცხოვრებელი დოკუმენტის მიღებისას წარადგენს იმ ნაციონალური დოკუმენტების სანოტარო წესით შემოწმებულ ასლს, რომელშიც იგი იყო ჩაწერილი.

შენიშვნა. ნაციონალური პასპორტის ასლი უცხოელის ოჯახის იმ წევრისა, რომელსაც 16 წელი შესრულებია, საჭიროა წარდგენილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ უცხოელი არ წარადგენს დებულების 1-ლ მუხ. აღნიშნულ ცალკე ნაციონალურ პასპორტს.

7. ამა დებულების წესისამებრ საცოვრებელი დოკუმენტების გაცემისას გადადევნებულ უნდა იქნეს დადგენილი გამოსაღები და 25 კაპ.—დოკუმენტის ღირებულება.

8. საზღვარგარეთიდან აკსფსრ-ში მოსული უცხოელი მოვალეა, არა უგვიანეს 24 საათისა მოსვლის წამიდან, შეიტანოს განცხადება საუცხოეთო საცხოვრებელი დოკუმენტის მიცემის შესახებ. განცხადება წარედგინება აკსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს—უშუალოდ, ან სამაზრო მილიციას, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

შენიშვნა. ვიდრე განსაკურთრებული განკარგულება გაიცემოდეს, ამა მუხლით დადგენილი წესი გავრცელდება აგრეთვე იმ უცხოელებზედაც, ვინც სსრკ-ში შემავალი სხვა მოკავშირე რესპუბლიკიდან შემოვა, და რომელსაც ექნება ამ რესპუბლიკის ორგანოების მიერ მიცემული საცხოვრებელი დოკუმენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. აკსფსრ ტერიტორიაზემ ცხოვრებნი და შემოსული უცხოელნი, სსრკ წარმომადგენლობისა თუ საკონსულოს მიერ მიცემული ნებართვისა (ვიზაში აღნიშნული) ან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ მიცემული ნებართვის მიხედვით, განიყოფებიან:

ა) დროებით მცხოვრებლებზე;

ბ) მუდმივ მცხოვრებლებზე.

10. იმ უცხოელს, რომელმაც დროებითი ყოფნის ნებართვა მიიღო, საცხოვრებელი დოკუმენტი მიეცემა სსრკ სრულუფლებიანი წარმომადგენლობისა ან საკონსულოს ვიზაში აღნიშნული ვადით, ხოლო, უკეთუ ასეთი ვადა ვიზაში აღნიშნული არ არის,—იმ ვადით, რაც დაწესებულია ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ, მაგრამ ერთი წელიწადზე არა უმეტეს ვადით.

იმ უცხოელს, რომელმაც ა/კსფსრ-ში მუდმივი ყოფნის ნებართვა მიიღო, საცხოვრებელი დოკუმენტი მიეცემა ერთის წლის ვადით, ხოლო ამ ვადის გასვლისას საცხოვრებელი დოკუმენტი განახლებულ უნდა იქნეს იმავე ვადით.

კვლავ ყოფნისათვის ეს უცხოელი ნებართვას მე-11 მუხ. აღნიშნული წესისამებრ მიიღებს.

11. განცხადება მე-10 მუხ. აღნიშნული ვადის განგრძობის შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში ან, უცხოელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სამაზრო მილიციაში, ერთი კვირით წინ მაინც იმ ვადის გასვლამდე, რა ვადითაც საცხოვრებელი დოკუმენტია გაცემული.

შენიშვნა. უკეთუ იმ უცხოელისათვის, რომელსაც ა/კსფსრ ტერიტორიაზე ყოფნის ნებართვა ერთ თვეზე არა უმეტესი ვადით მიღებული აქვს სსრკ სრულუფლებიანი წარმომადგენლისა ან კონსულისაგან, საჭირო იქნება მეტისხნით დარჩენა, მან უნდა შეიტანოს სათანადო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში განცხადება ვადის განგრძობის შესახებ და ამასთანავე ერთად განცხადება საცხოვრებელი დოკუმენტის მიცემის შესახებ.

12. ნებართვას კვლავ ყოფნისათვის მე-15 მუხ. აღნიშნულ პირს მისცემს ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი შემდეგი წესისამებრ:

ა) იმ უცხოელს, რომლის ყოფნითაც დაინტერესებულია მთავრობის ორგანო, სათანადო სახელმწიფო დაწესებულების (ხოლო რესპუბლიკანურზე არა მცირე) მოწმობისა ან ცნობის წარდგენისათანავე;

ბ) დანარჩენ უცხოელთ —მათი ყოფნის მიზნისა და მოსაქმეობის მიხედვით.

13. ის უცხოელი, რომელმაც თავის დროზე არ გამოითხოვა კვლავ ყოფნის ნებართვა ან რომელსაც ამაზე უარი ეთქვა, მოვალეა სამის დღით წინ მაინც იმ ვადის გასვლამდე, რა ვადითაც მიცემული ან განგრძობილი აქვს საცხოვრებელი დოკუმენტი, შეიტანოს, დადგენილი წესისამებრ, აკსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში ან, თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სამაზრო მილიციაში განცხადება საზღვარგარეულ წასვლისათვის ვიზის მიცემის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულ ვიზას გასცემს შინაგან საქმეთა სახლხო კომისარიატი უცხოელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო იმ უცხოელს, რომელიც ა|კსფსრ ტერიტორიაზე ერთ თვეზე მეტ ხანს არ იმყოფება,—ვიზას მისცემს ა|კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ერთ-ერთი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

იმ უცხოელმა, რომელმაც მიიღო საზღვარგარეულ წასვლის ვიზა ამა მუხლის თანახმად, უნდა დასტოოს ა|კსფსრ საზღვარები ვიზაში აღნიშნულ ვადაზე და თანაც გზაში არსად არ უნდა გაჩერდეს, უკეთუ ეს მგზავრობის პირობით გამოწვეული არ იქნება.

იმ პირთათვის საცხოვრებელი დოკუმენტის მიცემა, ვინც თავისი თავი უცხოელად გამოაცხადა.

14. ის პირი, რომელიც ა|კსფსრ-ში სცხოვრობს ამა დებულების ძალაში შესვლის დღისთვის და რომელიც თავის თავს უცხოელად სთვლის, ხოლო სათანადო ნაციონალური პასპორტი-კი არა აქვს, მოვალეა 1926 წლის აგვისტოს 15-დე შეიტანოს განცხადება თავისი მოქალაქეობისა და საცხოვრებელი დოკუმენტის მიცემის შესახებ იმ ხნისათვის, ვიდრე იგი სათანადო ნაციონალურ პასპორტს მიიღებდეს. ეს ვანცხადება შეიტანება ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში ან, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სამაზრო მილიციაში, იმ დოკუმენტის დართვით, რომლითაც იგი სცხოვრობს და ყველა სხვა დოკუმენტითურთ, რაც-კი მის უცხოელ მოქალაქეობას ამტკიცებს.

15. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დადგენილება საცხოვრებელი დოკუმენტის მიცემაზე უარისთქმის შესახებ შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს 6 თვის ვადაზე ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში; თანაც საჩივრის ასლი უნდა წარედგინოს იმ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომელმაც გასცა ცნობა უარისთქმის შესახებ.

ვიდრე საჩივარი გადასწყდებოდეს აღნიშნული პირი სსრკ მოქალაქედ ითვლება.

16. იმ პირს, რომელმაც თავისი თავი უცხოელად გამოაცხადა, საცხოვრებელი დოკუმენტი 4-ს თვის ვადით მიეცემა.

17. საცხოვრებელი დოკუმენტი იმ პირს, ვინც თავისი თავი უცხოელად გამოაცხადა, მიეცემა შემდეგ შემთხვევაში:

ა) იმ სახელმწიფოს მოქალაქეს, რომლის წარმომადგენლობაც სსრკ არ იმყოფება ან, თუ იმყოფება, ნაციონალური პასპორტის მიცემის უფლება არა აქვს;

ბ) იმ სახელმწიფოს მოქალაქეს, რომლის მოქალაქენიც თავიანთ მოქალაქეობას სსრკ-ში მყოფ საუცხოეთო წარმომადგენლობაში მოაწესრიგებენ.

უკეთუ ესა თუ ის პირი უცხოელ მოქალაქედ არ იქნა ცნობილი, მას შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი მისცემს სათანადო ცნობას.

18. ყველა იმ პირის საცხოვრებელი დოკუმენტი, რომელიც თავის თავს უცხოელად გამოაცხადებს, განახლებულ უნდა იქნეს ყოველთვის ზემოაღნიშნულ ვადით (მუხ. 16), ვიდრე იგი თავისი მოქალაქეობის შესაფერი საცხოვრებელი დოკუმენტის მიღების საქმეს კავშირის ტერიტორიაზე მყოფ უცხოეთის მისსიაში მოაწესრიგებდეს. უკეთუ ასეთ პირს სათანადო მისსიამ უარი უთხრა მოქალაქეობის უფლებაზე, მას, როგორც თავისი თავის უცხოელად განმცხადებელს, საცხოვრებელი დოკუმენტის ვადა უნდა განეგრძოს იმ დრომდე, ვიდრე ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი არ გასცემს განსაკუთრებულ განკარგულებას.

19. უკეთუ გამოაშკარავდა, რომ ის პირი, რომელმაც თავისი თავი უცხოელად გამოაცხადა, საბჭოთა მოქალაქეა, მას საბჭოთა მოქალაქეთათვის დაწესებული ვინაობის მოწმობა მიეცემა.

წესი უწინ მიცემული დოკუმენტების ამა დებულებით დადგენილი საცხოვრებელი დოკუმენტით შეცვლისა.

20. ის პირი, რომელიც ამა დებულების გამოქვეყნებამდე ა/კსფსრ ტერიტორიაზე სცხოვრობს, და რომელსაც მიღებული აქვს უწინდელი საცხოვრებელი დოკუმენტი, უცხოელთათვის დაწესებული, მოვალეა შესცვალოს იგი ამა დებულებით დაწესებულ საცხოვრებელ დოკუმენტზე. ამას გარდა, ყველა ის პირი რომელსაც ისეთი დროებითი მოწმობა აქვს, რაც იმ პირთათვის არის დაწესებული, ვინც თავის თავს უცხოელად აცხადებს, აგრეთვე ყველა ის პირი, რომელიც საბჭოთა მოქალაქე არ არის, თუნდაც უცხოელთათვის დაწესებული საცხოვრებელი დოკუმენტი არა ჰქონდეს, მოვალეა იმავე ვადაზე შეიტანოს სათანადო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში ან, ამა დებულების მე-4 მუხ. თანახმად, სამაზრო მილიციაში განცხადება—მისი ნამდვილი მოქალაქეობის გამორკვევის შესახებ.

21. ძველი საცხოვრებელი დოკუმენტების შეცვლა და აგრეთვე მოქალაქეობის გამორკვევის გამო შეტანილი განცხადებების განხილვა მოხდება 1926 წ. მაისის 15-დან აგვისტოს 16-დე, რაზედაც ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი გამოაცხადებს საყოველთაო ცნობისათვის იმა რესპუბლიკის ყველა ოფიციალურ ბეჭდვითი ორგანოში.

22. 1926 წ. მაისის 15-დან ყველა ის დოკუმენტი, რაც 21 მუხლშია აღნიშნული, აგრეთვე ყოველგვარი დოკუმენტი,რ აც უცხოელთ მოკავშირე რესპუბლიკების ორგანოთანგან მიეცათ, მათ შორის დროებითი მოწმობებიც, გამოცხადებულია ძალადაკარგულად და ა/კსფსრ-ში ცხოვრების საფუძვლად არ გამოდგება.

23. ყველა ის პირი, რომელიც ა/კსფსრ-ში შემავალი ერთ-ერთი რესპუბლიკის ტერიტორიაზე სცხოვრობს, ან რომელიც ამ რესპუბლიკაში მივა,—ამა დადებულების თანახმად საცხოვრებელი დოკუმენტის მიღებისათანავე, უნდა ჩაეწეროს სარაიონო ან საუბნო მილიციის განყოფილებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაწერა სწარმოებს ქალაქად—სახლის სამოურაოს მეშვეობით, ხოლო სოფლად—მილიციის ორგანოს მიერ—უშუალოდ.

უწინ, ამა დებულების სამოქმედოდ შემოღებამდე, მიღებული დოკუმენტით ჩაწერა არ შეიძლება.

24. ჩაწერა უნდა მოხდეს უწყებულ ადგილში მომქმედი წესების თანახმად არა უგვიანეს 24 საათის ვადისა დოკუმენტის მიღების დღიდან, ხოლო სოფლად არა უგვიანეს 7 დღის ვადისა. სასტუმროში ჩამომხტარი პირი აგრეთვე 24 საათის ვადაზე უნდა ჩაეწეროს.

ძველის სანაცვლოდ ახალი საცხოვრებელი დოკუმენტის მიმღები პირი მოვალეა ჩაეწეროს ამა მუხლში აღნიშნულ ვადაზე.

ამა დებულებით დადგენილი გამონაკლისი საცხოვრებელი დოკუმენტის მიცემისა და ჩაწერის წესისა.

25. დიპლომატიური პასპორტის მქონე პირისათვის საცხოვრებელი დოკუმენტის მიცემა და ამ პირის ჩაწერა მოწესრიგდება განსაკუთრებული წესებით.

26. ის პირი, რომელმაც დაამთავრა უცხოეთის მოქალაქეობის ოპტაციალიტვისა, ლატვიისა, პოლონეთისა და ესტონიოსა, განიხილება ისე, როგორც 1-ლ მუხლში აღნიშნული პირი, ხოლო იცხოვრებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საოპტაციო მოწმობით, რაც უცხოელისათვის დაწესებული საცხოვრებელი დოკუმენტის მაგიერია მასშიგ აღნიშნული ვადის განმავლობაში.

27. ის უცხოელი, რომელსაც აქვს ერთ-ერთი ქვემოაღნიშნული ვიზა საზღვარგარეულ წასვლისათვის, მოვალე არ არის საცხოვრებელი დოკუმენტი აიღოს და ჩაეწეროს, ხოლო მოვალეა რეგისტრაციაში გაიაროს ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში ან, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სამაზრო მილიციაში, ქვემოაღნიშნული წესისამებრ:

ა. 1) ის პირი, რომელიც ა/კსფსრ ტერიტორიაზე სატრანზიტო ვიზით მიდის, როგორც საერთო წესი მოითხოვს, ზაში ვერ გაჩერდება.

2) სტიქიური შემთხვევის გარდა, რაც მატარებლისა ან გემის მსვლელობას აბრკოლებს, გაჩერება ნებადართულია ერთიდან მეორეზე გადასვლის დროს კავშირულ პუნქტში და ავადმყოფობის გამო, უკეთუ ექიმი სცნობს, რომ მსვლელობის განგრძობა ავადმყოფის სიცოცხლისათვის საშიშია (ამ უკანასკნელ შემთხვევაში ავადმყოფთან შეიძლება დარჩნენ მისი ოჯახის წევრნი და მისი თანამხლებელი პირნი).

3) უკეთუ გაჩერება ზემოაღნიშნული მიზეზების გამო 24 საათს აღემატება, გაჩერების შესახებ უნდა განეცხადოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, ხოლო სამაზრო ქალაქში—სამაზრო მილიციას; რკინის გზის სადგურზე—საგზაო სატრანსპორტო საგანგებო კომისიის განყოფილების უფროსს ან აგენტს; სასაზღვრო პუნქტზე—სასაზღვრო პუნქტის უფროსს.

4) გაჩერების ნებართვა უფლებას იძლევა მარტოოდენ იმ ქალაქისა, სადგურისა ან პუნქტის ფარგალში (რაიონში) ყოფნისას, სადაც ნაიძულეი გაჩერება მოხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5) გაჩერების ადგილიდან დაძვრისას სატრანზიტო მსვლელობის განგრძობისათვის უცხოელი მოვალეა შეატყობინოს იმ დაწესებულებას, რომელმაც ნება დართო გაჩერებულიყო.

6) სატრანზიტო ვიზის მოქმედების ვადა, უკეთუ იგი წინადვე ვადაგასული არ აყო, ავტომატიურად, თვინიერ განსაკუთრებული აღნიშვნისა, განგრძობილ უნდა იქნეს იმ ვადით, რა ვადითაც გაჩერება იქნა ნებადართული.

7) უკეთუ სატრანზიტო ვიზა, გაჩერებასთან დაკავშირებით, ვადაგადაცილებულ იქნა, უცხოელი მოვალეა გამოცხადდეს მინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში და, მის ნაცვლად, მიიღოს ვიზა საზღვარგარეულ წასვლისთვის (იხ. ა/კ. სახ. კომისართა საბჭოს მე-40 №-რის დადგენილება.—ა/კსფსრ კან. კრებ. 1925 წ. მე- 8 №-რი, მუხ. 474).

3. ის პირი, რომელსაც აქვს შესვლისა და გამოსვლის ვიზა, რაც მიუღია სსრკ უფლებამოსილ წარმომადგენლისა ან კონსულისაგან სსრკ-ში შესასვლელ ვიზასთან ერთად, მოვალეა მოსვლისათანავე 24 საათის ვადაზე რეგისტრაცია გაუკეთოს თავის თავს ზემოაღნიშნულ დაწესებულებებში.

აღნიშნული უცხოელი მოვალეა წავიდეს საზღვარგარეულ არა უგვიანეს იმ ვადისა, რაც აღნიშნულია უკან დაბრუნების ვიზაში; თხოვნა ყოფნის ვადის განგრძობის შესახებ ასეთი უცხოელისაგან მიიღება საერთო წესისამებრ, რაც მე-11 მუხლშია აღნიშნული.

3. ის უცხოელი, რომელმაც მიიღო საზღვარგარეულ წასასვლელი ვიზა (როგორც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ვიზა, ისე გარეშე საქმეთა სახ. კ-ტის ვიზა), იცხოვრებს ამ ვიზით, ვიდრე ვიზას ვადა გაუვიდოდეს. უკეთუ იგი გზას გაუდგება და, მიმოსვლის პირობების გამო, გაჩერდება სხვა ადგილას იგი მოვალეა 24 საათის ვადაზე გაუკეთოს თავის თავს რეგისტრაცია ზემოაღნიშნულ დაწესებულებებში.

ეს უცხოელი მოვალეა გზას გაუდგეს მე-13 მუხ. გათვალისწინებულ ვადაზე.

28. ა/კსფსრ ტერიტორიაზე მიმოსვლისათვის უცხოელთა შესახებ მოქმედებს იგივე კანონი, რაც დაწესებულია საბჭოთა მოქალაქეთათვის.

მიმოსვლა ზოგიერთ ადგილას შეიძლება შეზღუდულ იქნეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დადგენილებით, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებთან შეთანხმებით, რაც გამოცხადებულ უნდა იქნეს საყოველთაო ცნობისათვის.

29. ქვემოაღნიშნული განსაკუთრებული წესებით განსაზღვრულია:

ა) უცხოელ-რკინისგზელთა ცხოვრების წესი იმ სასაზღვრო სადგურებზე რომლებიც ხელსუწყობს სასაზღვრო მიმოსვლას. აღნიშნულ პირთათვის საჭირო როდია საცხოვრებელი დოკუმენტის მიღება და ჩაწერა, უკეთუ რეგისტრაცია აქვთ გაკეთებული საკონტროლო-სასაზღვრო პუნქტში;

ბ) უცხოელ-მეზღვაურთა ცხოვრების წესი საპორტო ქალაქებში;

აღნიშნული პირნი საპორტო ქალაქში იცხოვრებენ თავისი ნაციონალური დოკუმენტით, საცხოვრებელი დოკუმენტის აუღებლად, ხოლო საერთო წესისამებრ ჩაწერით, უკეთუ მათ მიღებული აქვთ საპორტო ქალაქის ტერიტორიაზე შემოსვლის ნებართვა საზღვაო კონტროლის ვიზის სახით; იმ ადგილას მათ შეუძლიანთ დაჰყონ ვიზაში აღნიშნული ვადის განმავლობაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) იმ უცხოელთა ცხოვრების წესი, რომელნიც გადადიან საზღვარს სასაზღვარო მიმოსვლის წესისამებრ; აღნიშნული პირნი განთავისუფლდებიან საცხოვრებელი დოკუმენტის აღებისაგან, ხოლო უნდა ჩაეწერნენ საერთო წესისამებრ გასვლის ნებართვის მიხედვით, იმ ვადის განმავლობაში, რაც გასვლის ნებართვაშია აღნიშნული.

30. ამა, უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის დებულების დარღვევისათვის უცხოელს ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შინაგან სახალხო კომისარიატის მიერ დაედება ადმინისტრატიულის წესით ფულადი ჯარიმა არა უმეტეს 100 მან.

31. ის უცხოელი, ვინც ა/კსფსრ-ში შემოვა თვინიერ სსრკ სრულუფლებიანი წარმომადგენლობისა ან საკონსულოს ვიზისა ან და საკონტროლო-შემომშვები პუნქტის გარეშე, აგრეთვე ვინც დაარღვევს სატრანზიტო ვიზით მიმოსვლის წესებს, ვინც დაჰყოფს ა/კსფსრ-ში ნებადართულ ვადაზე მეტ ხანს, ვინც დამნაშავე აღმოჩნდება საცხოვრებელი დოკუმენტის უკანონოდ მიღებაში და ვინც დაარღვევს საცხოვრებელი დოკუმენტის მიღების წესებს, პასუხისგებაში მიიცემა სასამართლო და ადმინისტრაციული წესისამებრ, იმის მიხედვით, თუ რა ხასიათისაა სამართლის დარღვევა, და შეიძლება, მომქმედი კანონის წესისამებრ, გაიგზავნოს ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის საზღვრებიდან.

32. ამა დებულების შეფარდების წესები შემუშავებულ იქნება განსაკუთრებული ინსტრუქციის სახით,

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1161 №-ში 1926 წ. აპრილის 27-ს.

დადგენილება № 9 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

637. საქონლის საეტიკეტო ფასებში გაყიდვისათვის ზედამხედველობის გაწევის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საქონლის საეტიკეტო ფასებში გაყიდვისთვის ზედამხედველობის გაწევის შესახებ“ 1925 წლის ნოემბრის 19 თარიღითა და 59 №-ით გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრებ. 1925 წ. მე-12 №-რი, მუხ. 556) გასაუქმებლად და სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საქონლის საეტიკეტო ფასებში გაყიდვისათვის ზედამხედველობის გაწევის შესახებ“ 1926 წ. იანვრის 27 თარიღით გამოცემული დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1926 წ. მე-5 №-რი, მუხ. 35) თანახმად —ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებთლ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი ინსტრუქცია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქცია საქონლის საეტიკეტო ფასებში გაყიდვისათვის ზედამხედველობის გაწევის შესახებ.

1. სსრკ. შინა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ ყოველგვარი საქონლისათვის დაწესებული საეტიკეტო ფასები სავალდებულოა მთლად ა/კსფსრ ტერიტორიაზე როგორც სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის, ისე კერძო პირებისათვის.

2. ყველა საქონელი, რაც, ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის გამოცხადებისამებრ, უნდა გაიყიდოს საეტიკეტო ფასებში, გამოშვებულ უნდა იქნეს საქონლის შესაფერ სახვევ-სათავსში, რომელსაც შემოკრული უნდა ჰქონდეს სათანადო ორგანოს მიერ დამტკიცებული ეტიკეტი.

3. ეტიკეტზე აღნიშნულ უნდა იქნეს:

ა) ფირმის ნამდვილი სახელწოდება;

ბ) წარმოების ადგილი და ფირმის ნამდვილი მისამართი;

გ) საქონლის სახელწოდება;

დ) საფაბრიკო-საქარხნო მარკა;

ე) წონა ან, უკეთუ საქონელი ცალობით არის ჩაწყობილი, წონა და რაოდენობა;

ვ) ხარისხი;

ზ) საქონლის წონისა ან რაოდენობის საეტიკეტო ფასი;

თ) წარწერა: „ეტიკეტზე აღნიშნულ ფასზე ძვირად გაყიდვა დაისჯება კანონით“.

4. საეტიკეტო ფასებში გასაყიდათ გამოცხადებული იმ საქონლის ეტიკეტის გარეგანი სახე, რომელიც შემდგომდაც იქნება გამოშვებული, სრულიად უნდა შეესაბამებოდეს უწინ გამოშვებული საქონლის ეტიკეტს, უკეთუ დაკანონებული ცვლილება რამ არ მომხდარა.

5. მეთვალყურეობა საქონლის საეტიკეტო ფასებში გაყიდვის წესებისა და ამა ინსტრუქციის სხვა მოთხოვნათა აღსრულებისათვის დაეკისრება ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, მის რწმუნებულებს რესპუბლიკებში და წარმომადგენლებს ავტონომიურ რესპუბლიკებში, ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიეტებს და მათ ადგილობრივ ორგანოებს.

6. ამა ინსტრუქციის დარღვევისათვის მეთვალყურე ორგანო ყოველი შემთხვევის გამო შეადგენს ოქმს, რასაც ხელს მოაწერს ოქმის შემდგენელი, დამრღვევი და ორი მოწმე. ოქმი გაეგზავნება სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს გადასახდელის ადმინისტრატიულის წესით დადებისათვის.

7. ამა, საქონლის სეტიკეტო ფასებში გაყიდვის, წესების დარღვევისათვის დამნაშავეს გადაეჰხდება ჯარიმა, რაც დადებულ უნდა იქნეს ადმინისტრატიული წესის თანახმად შემდეგი რაოდენობით:

ა) ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საეტიკეტო ფასების დარღვევა მოხდა საქონლის პარტიობით გაყიდვის დროს, ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაათკეცებულ რაოდენობას იმ განსხვავებისას, რაც ფაქტიურად გაყიდული საქონლის პარტიის ფასსა და ამ საქონლის პარტიის საეტიკეტო ფასს შორის არის, იმ პირობით-კი, რომ აღნიშნული გაათკეცებული განსხვავება ორმოცდაათ მან. უნდა აღემატებოდეს;

ბ) ყველა სხვა შემთხვევაში ჯარიმა გადახდევინებულ უნდა იქნეს არა უმეტეს 50 მან. რაოდენობისა.

8. ამა ინსტრუქციის წესების განმეორებითი დარღვევისათვის, იმის გარდა, რომ დამნაშავეს გადაეჰხდება დაწესებული ჯარიმა, მეთვალყურე ორგანო შეადგენს ოქმს, რომელიც გადაეცემა სათანადო სახალხო სასამართლოს დამნაშავის პასუხისგებაში მისაცემად უწყებული რესპუბლიკის სისლის სამართლის კოდექსისამებრ.

ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1926 წ. აპრილის 15. ტფილისი სასახლე

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1161 №-ში 1926 წ. აპრილის 27-ს

დადგენილება № 10 ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

638. ა|კსფსრ-ში სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადისა, გამოსაღებისა და ბაჟის მენარჩენეთა ქონების შეკვრისა და საჯარო ვაჭრობით გაყიდვის წესების დამტკიცების შესახებ.

ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი წესები სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადისა, გამოსაღებისა და ბაჟის მენარჩენეთა ქონების შეკვრისა და საჯარო ვაჭრობით გაყიდვის შესახებ.

ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1926 წ. აპრილის 15. ტფილისი-სასახლე.

წესები აპსფსრ-ში სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადისა, გამოსაღების და გაქის მენარჩენეთა ქონების შეკვრისა და საჯაროდ ვაჭროვნით გაყიდვის შესახებ.

მუხ. 1. მენარჩენის ქონების შეკვრა მოხდება მით, რომ შედგენილ იქნება ქონების აწერის აქტი და გამოეცხადება მენარჩენეს, მისი ხელმოწერით, რომ აკრძალული აქვს, გადამხდევნები ორგანოს ნებადაურთველად, აწერილი ქონების გასხვისება და შეკვრის ადგილიდან სხვა ადგილს გადატანა.

შენიშვნა 1. ქონების აწერილობა შედგენილ უნდა იქნეს ორი მოწმისა და აწერილი ქონების შემნახველის თანადასწრებით, უკეთუ საჭირო იქნება ამ უკანასკნელის დანიშვნა (მუხ. მე-5 და 6).

შენიშვნა 2. სია შედგენილი უნდა იქნეს მენარჩუნეს განცხადების თანახმად, თუ პირველ რიგში რა და რა საგანზე მიიქცეს გადასახდელი, უკეთუ ეს განცხადება ხაზინის ინტერესებს არ არღვევს.

შენიშვნა 3. უკეთუ აწერილობის შედგენის დროს მენარჩენე არ იმყოფება, განცხადება ქონების შეკვრის თაობაზე ჩაბარდება მისი ოჯახის ერთ-ერთ წევრს ან გამოიკიდება მის საცხოვრებელ ადგილს სახლის სამოურაოს ან სოფლის საბჭოს და მილიციის წარმომადგენელთა თანადასწრებით.

მუხ. 2. მენარჩენის ქონების შეკვრას და მასთან დაკავშირებულ ყოველ მოქმედებას, აგრეთვე სათანადო საფინანსო განყოფილების ნებადართვით ამ ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვას მოახდენს თვითეული საგადასახადო უბნის ფარგლებში პირდაპირი გადასახადების ნარჩენისათვის—საფინანსო ინსპექტორის განკარგულებით: ქალაქად—საფინანსო ავენტი, სოფლად—თემისა, დაირისა და უბნის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი ან ერთ-ერთი წევრი აღნიშნული აღმასრულებელი კომიტეტისა; არაპირდაპირი გადასახადის ნარჩენისათვის—არაპირდაპირი გადასახადების ინსპექტორი უშუალოდ ან, მისი მინდობილობით, მისი თანაშემწე.

მუხ. 3. ქონების აწერასთან ერთად აწერილობის შემდგენელი შეაფასებს აწერილ ქონებას საშუალო საბაზრო ფასების მიხედვით, რაც აწერის დროს იმ ადგილას იქნება.

უკეთუ მენარჩენე წინააღმდეგი იქნება ამ შეფასებისა, მისი მოთხოვნით შეფასება უნდა მოხდეს ექსპერტის მეშვეობით, რომელსაც, საფინანსო ორგანოს მოთხოვნით, წარავლენებს სათანადო სახელმწიფო დაწესებულება ან კოოპერატიული ორგანიზაცია თავის თანამშრომელთაგან.

მუხ. 4. ქონების აწერილობა უნდა შეიცავდეს:

1. ქონების ამწერი პირის თანამდებობასა და ვინაობას.
2. აწერის დროსა და ადგილს.
3. შეკვრის საფუძველს.

4. მენარჩენის ვინაობას.

5. თვითეული შეკრული საგნის სახელწოდებას და აწერილობას.

6. თვითეული შეკრული საგნის შეფასებას.

7. 2 თანადამსწრე პირის ვინაობას.

8. შემნახველის ვინაობას (მუხ. მე-5), შემნახველის მოვალეობის განმარტებას და შემნახველის ხელმოწერას.

9. მხარეთა და აწერის დამსწრე პირთა შენიშვნებსა და ამისგამო ამწერი პირის მიერ გაკეთებულ განკარგულებას.

10. აღნიშვნას, რომ აწერილობის შედგენას დაესწრო მენარჩენე და რომ მას ჩაჰბარდა განცხადება ქონების შეკვრის თაობაზე; ხოლო, უკეთუ მენარჩენე არ დაესწრო,—აღნიშვნას, რომ განცხადება ქონების შეკვრის თაობაზე გამოკიდულია მენარჩენის საცხოვრებელ ადგილას ამა და ამ პირთა თანდასწრებით ან, რომ განცხადება ჩაჰბარდა მენარჩენის ოჯახის ერთ-ერთ წევრს მენარჩენისათვის გადასაცემად, და, სახელდობრ, ვის ჩაჰბარდა

11. ყველა თანადამსწრის ხელმოწერას.

მუხ. 5. აწერილი ქონება შესანახად მენარჩენეს გადაეცემა. უკეთუ მენარჩენე უარს იტყვის შენახვაზე, ან იგი აწერის დროს არ იმყოფება ადგილდბრივ, ან და არის ისეთი გარემოება, რაც უნდობლობას იწვევს მენარჩენის მიმართ, შემნახველს დანიშნავს ქონების შეკვრის აქტის შემდგენელი.

შენიშვნა. აწერილობის შემდგენელი აწარმოებს ამასთანავე დართული ფორმით გადახდის ღონისძიებათა რეესტრს.

მუხ. 6. უკეთუ შემნახველად მენარჩენე არ არის დანიშნული, იგი, შემნახველი, მიიღებს შენახვისათვის გასამრჯელოს იმ ნიხრით, რომელიც იმ ადგილას მოქმედებს სასამართლოს წესით გადასახდევინებელის შემნახველთა გასამრჯელოსათვის; ამას გარდა, სათანადო შემთხვევაში, შემნახველს აენზღაურება შენახვისათვის ფაქტიურად გაწეული ხარჯი.

შენიშვნა. შეკრული ქონების შემნახველთა სასყიდლის ნიხრი მოთავსებულია ამა წესების 1-ლ დანართში.

მუხ. 7. აწერილობის შედგენისათანავე შემდგენელი დაუყოვნებლივ წარუდგენს მას, სათანადო საფინანსო ინსპექტორის მეშვეობით, სამაზრო საფინანსო განყოფილებას დასამტკიცებლად, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში—სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს; ხოლო იმ სახელმწიფოს და კოოპერატიულ საწარმოთა და სააქციონერო საზოგადოებათა მიმართ, სადაც სახელმწიფო და კოოპერატიული კაპიტალი ფაქტიურად ჰმეტობს, აგრეთვე, უკეთუ გაყიდული იქნება კერძო პირთა და საწარმოთა შენობები, გადასახდელის იძულებითი ღონისძიების გადახდევინება უნდა მოხდეს „გადასახადთა გადახდევინების დებულების“ 26 მუხლის მე-2 ნაწ. თანახმად (სსრკ კან. კრ. 1925 წ. მე-70 №-რი, მუხ. 518) და მარტოოდენ სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული დადგენილებით თვითეულ ცალკე შემთხვევაში.

არაპირდაპირი გადასახადის მენარჩენის ქონების აწერილობას არაპირდაპირ გადასახადთა ინსპექტორი დასამტკიცებლად უშუალოდ სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს წარუდგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღწერილობა დამტკიცებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს სამის დღისა.

მუხ. 8. აღწერილობის დამტკიცებისა და სათანადო საფინანსო განყოფილების მიერ აწერილი ქონების გაყიდვის ნებართვის შემდეგ, საფინანსო ინსპექტორი ან არაპირდაპირ გადასახადთა ინსპექტორი დანიშნავს აწერილი ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვის დღესა და ადგილს. საჯარო ვაჭრობა დანიშნულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ორი კვირისა გაყიდვის ნებადართვის დღიდან.

შენიშვნა 1. ქონების შეკვრასა და გაყიდვის შორის უნდა გაიაროს ერთ კვირაზე არა ნაკლებმა დრომ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აწერილია ადვილად გასაფუჭებელი საგნები, რაც ვაჭრობის ნებადართვისათანავე დაუყოვნებლივ გაიყიდება;

შენიშვნა 2. უკეთუ მენარჩენე თანახმაა, რომ მისი კუთვნილი ადვილად გასაფუჭებელი ქონება დაუყოვნებლივ გაიყიდოს, საჯარო ვაჭრობა შეიძლება საფინანსო განყოფილების ნებართვის მიღებამდე მოხდეს.

მუხ. 9. იურიუდიულ პირთა და მათ შორის სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოთა ქონების გაყვიდვა უნდა მოხდეს სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული ნებართვით თვითეულ ცალკე შემთხვევაში.

სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოთა აწერილი ქონება გაიყიდება საჯარო ვაჭრობით არა უადრეს, ვიდრე ორი კვირის ვადა გავიდოდეს ქონების შეკვრის დღიდან. გამონაკლისი შეიძლება ადვილად გასაფუჭებელი საგნებისათვის, რაც ვაჭრობის ნებადართვისათანავე დაუყოვნებლივ უნდა გაიყიდოს; ამისთანა შემთხვევაში ნებართვა დეპეშით გამოითხოვება.

მუხ. 10. აწერილი ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვის დღესა და ადგილს, უკეთუ ქონების ღირებულება, შეფასების მიხედვით, ას მანეთს აღემატება, საფინანსო ინსპექტორი ან არაპირდაპირ გადასახადთა ინსპექტორი გამოაცხადებს ადგილობრივ ოფიციალურ გაზეთში სამს დღეზე არა უგვიანეს საჯარო ვაჭრობამდე. ამასთან ერთად განცხადება გამოიკიდება ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში ან სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტში— კუთვნილებისამებრ, თემისა, დაირისა ან უბნის აღმასრულებელ კომიტეტში და სოფლის საბჭოში; აგრეთვე ეცნობება იმ მენარჩენეს, რომლის ქონებაც იყიდება. ამას გარდა, სოფლად, სოფლის საბჭოთა მეშვეობით, ეს ეუწყება უახლოეს სოფლების მცხოვრებთ.

შენიშვნა. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნარჩენისათვის გასაყიდი ქონების საჯარო ვაჭრობის დღე და ადგილი გაზეთში არ გამოცხადდება.

მუხ. 11. ვაჭრობის მწარმოებელი პირი, უკეთუ საჭირო იქნება, მოახდენს, მენარჩენის თანხმობით, განკარგულებას აწერილი ქონების მოტანის შესახებ ვაჭრობის ადგილას, იქ, სადაც საბაზრო პირობები ვაჭრობას უფრო ხელს უწყობს, და, შეამოწმებს-რა ამ ქონებას აწერილობისდა მიხედვით, მისცემს შემნახველს ქონების მიღების ხელწერილს.

შენიშვნა. გასაყიდი ქონების მოტანა მოხდება მენარჩენის საშუალებით ამ მისი ხარჯით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 12. იმ დღეებში, რა დღეებშიაც საჯარო ვაჭრობაა დანიშნული, მსურველნი მიიშვებიან გასაყიდი საგნების დასთვალიერებლად. ის, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს შენობის (მფლობელობის) საჯარო ვაჭრობით გაყიდვაში, მოვალეა წარადგინოს ხელწერილი, რომ არავითარი კანონიერი დაბრკოლება არ არსებობს, რათა მან გასაყიდი შენობა (მფლობელობა) შეიძინოს.

მუხ. 13. წინა მუხლში აღნიშნული ხელწერილის გარდა, ის, ვისაც სურს შენობის ყიდვა, მოვალეა შეიტანოს ბე—შენობის შეფასების 10 პროც. თანხა. ეს არ გავრცელდება სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოზე.

მუხ. 14. ვაჭრობაში მონაწილეობას ვერ მიიღებს ადგილობრივი სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისა, თემისა, დაირისა და უბნის აღმასრულებელი კომიტეტისა და სოფლის საბჭოს წევრი, ის პირი რომელიც მონაწილეობას იღებდა ქონების აწერაში, ამ ქონების გაყიდვის მწარმოებელი პირი, საფინანსო ორგანოს მოსამსახურე, აგრეთვე მათი ოჯახის წევრი და ყველა ის პირი, ვინც მილიციაში მსახურებს.

მუხ. 15. ვაჭრობა დაწყებულ უნდა იქნეს 10 საათზე და არ უნდა გაგრძელდეს 18 საათ. გვიან.

მუხ. 16. უკეთუ 10 საათისათვის ვაჭრობის მსურველთაგანი არავინ გამოცხადდა ან და გამოცხადდა მხოლოდ ერთი მყიდველი, ვაჭრობის მწარმოებელმა პირმა უნდა უცადოს მყიდველთ 14 საათამდე. როდესაც გამოცხადდება ორზე არა ნაკლები მყიდველი, ხოლო მაინც არა უადრეს 12 საათისა, დაიწყება ვაჭრობა.

მუხ. 17. უკეთუ გაყიდვა ერთ დღეს ვერ დამთავრდა, იგი განიგრძობა შემდეგ დღეებში, ვიდრე დამთავრდებოდეს, რისთვისაც დაცულ უნდა იქნეს ამა წესების მე 15 და 16 მუხ.

მუხ. 18. ვაჭრობის წარმოების დროს ვაჭრობის მწარმოებელი პირი აცხადებს თვითეული საგნის ფასს, რაც შეფასებითაა განსაზღვრული და იკითხავს: „ვინ უმატებს". ვაჭრობის მწარმოებელი პირი ფასებს მყიდველთ სიტყვიერად უცხადებს, ვიდრე სართის ძლევა გრძელდება.

მუხ. 19. სართის ძლევის შეწყვეტის შემდეგ ვაჭრობის მწარმოებელი პირი წარმოსთქვამს სამჯერ შემდეგ სიტყვებს: "არავინ უმატებს" და, უკეთუ, მესამეჯერ თქმის შემდეგ, სართს არავინ განაცხადებს, სართი აღარ მიიღება და ვაჭრობა დამთავრებულად ითვლება.

მუხ. 20. გასაყიდი საგანი დარჩება იმას, ვინც უდიდესი ფასი შეაძლია.

მუხ. 21. უკეთუ ქონების ნაწილის გაყიდვით ისეთი თანხა შემოვიდა, რაც საკმარისია ამა წესების 29 მუხ. „ა", „ბ" და „გ" პუნ. აღნიშნული ხარჯისა და პრეტენზიის დასაფარავად, დანარჩენი საგნების გაყიდვა შეწყდება და ეს საგნები პატრონს დაებრუნება.

შენიშვნა. ვაჭრობის მწარმოებელ პირს, ვაჭრობის დაწყებამდე, უნდა ჰქონდეს სწორი ცნობები ამა წესების 29 მუხ. „ა", „ბ" და „გ" პუნ. აღნიშნული ხარჯებისა და პრეტენზიის რაოდენობის შესახებ.

მუხ. 22. ვაჭრობის მწარმოებელი პირი შეადგენს სავაჭრო ფურცელს, რომელშიაც აღინიშნება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) ვინ, როდის და სად მოახდინა ვაჭრობა;

ბ) სად გაიყიდა ქონება;

გ) გასაყიდი საგნების ნომრები აწერილობით;

დ) ვაჭრობაზე შეძლეული უდიდესი ფასი;

ე) მყიდველის სახელი, მამის სახელი და გვარი, რაც მყიდველმა საკუთარის ხელით უნდა ჩასწეროს, ხოლო თუ მან წერა არ იცის, მისი მინდობილობით, სხვა პირმა;

ვ) გასაყიდად დანიშნული ქონებიდან რა დარჩა გაუყიდველი.

მუხ. 23. მყიდველი დაუყოვნებლივ, ვაჭრობის გათავებისათანავე, შეიტანს მის მიერ უკანასკნელად შეძლეული ფასის არა ნაკლებ ერთი მეხუთედი ნაწილისა. დანარჩენი თანხა—იგი მოვალეა—გადაიხადოს ნაღდ ფულად არა უგვიანეს მეორე დღისა.

მუხ. 24. იმ პირის მიერ შეტანილი ბე (მუხ. 13), რომელსაც გაყიდული შენობა დარჩა, ნასყიდობის თანხაში ჩაირიცხება. დანარჩენი თანხა—საჯარო ვაჭრობით შენობის მყიდველმა უნდა გადაიხადოს არა უგვიანეს სამის დღისა ვაჭრობის დღიდან—უამდღეოდ. გასაყიდი შენობის ვაჭრობის მონაწილეთ, რომელთაც მცირე ფასი შეაძლიეს, ბე, ვაჭრობის გათავებისათანავე, დაუყოვნებლივ დაებრუნებათ.

მუხ. 25. უკეთუ მყიდველი დაწესებულ ვადაზე არ შეიტანს სრულად მის მიერ ვაჭრობაზე შეძლეულ თანხას, მის მიერვე საწინდრად შეტანილი ვაჭრობაზე შეძლეული უკანასკნელი ფასის ერთი მეხუთედი ნაწილი, ხოლო შენობის გაყიდვის დროს შეტანილი ბე სახელმწიფო შემოსავალში გადაირიცხება. მყიდველის მიერ შეტანილი საწინდარი ან ბე სახელმწიფო შემოსავალში გადაირიცხება იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ გამოაშკარავდა, რომ მყიდველი ვაჭრობაში მონაწილეობას უკანონოდ იღებდა ან მას უფლება არა ჰქონდა შენობა (მფლობელობა) შეეძინა.

მუხ. 26. გაყიდული საგანი მიეცემა მყიდველს მხოლოდ მას შემდეგ, უკეთუ იგი სრულად გადაიხდის ვაჭრობაზე შეუძლეულ თანხას, ამასთანავე იგი აუცილებლად წინასწარ გაფრთხილებულ უნდა იქნეს იმ შედეგის გამო, რაც მოჰყვება სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებას ვაჭრობის გაუქმების შესახებ—(მუხ. 35).

მუხ. 27. საჯარო ვაჭრობით შენობის (მფლობელობის) მყიდველს მიეცემა საჯარო ვაჭრობის აქტის ასლი, რაც მას უფლებას აძლევს შენობის (მფლობელობის) შეძენის სანოტარო აქტის შედგენისათვის, ა.ესფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო-საპროცესო კანონმდებლობის თანახმად.

მუხ. 28. ქონების გაყიდვით შემოსული თანხა განაწილდება შემდეგნაირად:

ა) პირველ რიგში დაიფარება ქონების შეკვრისა, შენახვისა, მოტანისა და გაყიდვის ხარჯი;

ბ) მეორე რიგში გასტუმრებულ იქნება ვალი სამუშაო ხელფასისა, სოციალური დაზღვევისა და ალიმენტებისათვის; უკანასკნელ შემთხვევაში, თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა და სასამართლოს ბრძანებისა, რაც წარდგენილ უნდა იქნეს სათანადო საფინანსო განყოფილებაში ვაჭრობის ნებადართვამდე,—

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ მენარჩენის ნაღდი ფული საკმაო არ არის აღნიშნული პრეტენზიების დასაფარავად;

გ) მესამე რიგში დაიჭირება გადასახადის ნარჩენი — საურავით, პროცენტით და ჯარიმით, უკეთუ არ არსებობს საკრედიტო დაწესებულების საგირავნო პრეტენზია („გადასახადთა გადახდევინების დებულების“ მე-12 მუხ.);

დ) ნაშთი მენარჩენს გადაეცემა.

შენიშვნა. ვაჭრობის მწარმოებელი პირი არავითარ საამისო სპეციალურ გასამრჯელოს არ იღებს.

მუხ. 29. უკეთუ მენარჩენე ვაჭრობის დაწყებამდე დაჰფარავს სრულად ნარჩენს საურავით და ქონების შეკვრისა, შენახვისა და მოტანის ხარჯს, ვაჭრობა მოისპობა და, საფინანსო ინპექტორისა ან არაპირდაპირ გადასახადთა ინსპექტორის განკარგულებით, აწერილ ქონებას ყადაღა მოეხსნება.

მუხ. 30. ვაჭრობის მწარმოებელი პირი, ვაჭრობის შემდეგ, არა უგვიანეს მეორე დღისა, ჩაბარებს მთლად შემოსულ თანხას ფინანსთა სახალხო კომისარიატისა ან თემისა, დაირისა ან უბნის აღმასრულებელი კომიტეტის სალაროს (უკეთუ ვაჭრობა სას.-სამ. გადასახადის ნარჩენის დასაფარავად მოხდა); ამასთანავე სათანადო საფინანსო ორგანოს შეატყობინებს ვაჭრობის შედეგს.

მუხ. 31. ვაჭრობა არშემდგაოად ცნობილ იქნება:

ა) უკეთუ ვაჭრობისათვის არავინ გამოცხადდა ან გამოცხადდა მხოლოდ ერთი პირი;

ბ) უკეთუ ქონების შეფასებას გამოცხადებულთა შორის არავინ არა წაუმატა რა და

გ) უკეთუ ვაჭრობის გათავებისას მყიდველმა ვადაზე სრულად არ გადაიხადა შენაძლევი თანხა (მუხ. 24 და 25)

შენიშვნა. იმის შესახებ, რომ ვაჭრობა არ შესდგა, ვაჭრობის მწარმოებელი პირი შეადგენს აქტს.

მუხ. 32. უკეთუ ვაჭრობა არ შესდგა, დაინიშნება მეორე ვაჭრობა არა უადრეს ერთი კვირისა; ამასთანავე, თუ საჭირო იქნება, ეს ვაჭრობა შეიძლება სხვა ადგილას დაინიშნოს. მეორე ვაჭრობა სწარმოებს იმავე წესით, როგორც პირველი ვაჭრობა, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ვაჭრობა დაიწყება ამ (მეორე) ვაჭრობაზე შეძლეული პირველი თანხით და იგი შემდგარად ჩაითვლება, თუნდაც ამ ვაჭრობაზე შეძლეული უდიდესი თანხა ქონების შეფასებაზე ნაკლები იყოს.

მუხ. 33. უკეთუ მეორე ვაჭრობაც არ შესდგა, აწერილი ქონება დარჩება „გადასახადთა გადახდევინების დებულების“ 33 მუხლში აღნიშნულ საფინანსო ორგანოს და მისი რეალიზაცია უნდა მოხდეს ყოველგვარი საშუალებით, კერძოდ, მით, რომ, თანაბმად დადებული ხელშეკრულებისა, გადაეცეს ლომბარდს გასაყიდად; ამრიგად შემოსული თანხა განაწილდება ამა წესების 29 მუხ. აღნიშნული წესისამებრ.

გადაუხდელი ნარჩენი მოიხსნება ანგარიშიდან, როგორც უმედო, „გადასახადთა გადახდევინების დებულების“ 40—45 მუხ. მიხედვით.

მუხ. 34. საჩივარს საჯარო ვაჭრობის არაკანონიერად წარმოების გამო განიხილავს ის სახალხო სასამართლო, რომლის რაიონშიაც მოხდა ვაჭრობა და რომელსაც უნდა წარედგინოს ეს საჩივარი არა უგვიანეს სამის დღის ვადისა ვაჭრობის დამთავრების დღიდან. მიიღებს-რა საჩივარს ვაჭრობის არაკანონიერად წარმოების გამო, სახალხო სასამართლოს შეუძლიან შეაჩეროს ვაჭრობით გაყიდული ქონების მყიდველისათვის გადაცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 35. უკეთუ სახალხო სასამართლო სცნობს, რომ საჯარო ვაჭრობა მთლად ან ნაწილობრივ წარმოებულია არაკანონიერად, დაინიშნება ახალი ვაჭრობა ამა წესების მე-8 და შემდგომი მუხლების თანახმად.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1161 №-ში 1926 წ. აპრილის 27-ს.

სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადის მენარჩენეთა ქონების შეკვრისა და საჯარო ვაჭრობით გაყიდვის წესების მე-6 მუხლის დანართი.

ნიხრი შეპრული ქონეგის შემნახველის სასყიდლისა.

1. გადამხდეველინებელი, მოვალე და მათი ოჯახის წევრი, რომელიც მათთან ერთად სცხოვრობს, სასყიდელს შენახვისათვის არ მიიღებს.

2. საფინანსო ორგანოს მიერ დანიშნული შემნახველი მიიღებს სასყიდელს შენახვისათვის არა უმეტეს, ვიდრე ერთი თვის განმავლობაში: როდესაც ქონების შეფასება 50 მან. არ აღემატება—5% შეფასების თანხისას; როდესაც შეფასება ამ თანხას აღემატება—პირველ 50 მანეთზე—5%, ხოლო შემდგომზე—51-დან 250 მანეთამდე—2% შეფასების თანხისას; როდესაც შეფასება 250 მან. აღემატება—პირველი 50 მან.—5%, ხოლო შემდგომზე—250 მანეთამდე—2% და 250 მეტზე—1% შეფასების თანხისას.

3. ქონების ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში შენახვისათვის თვითეულ შემდგომ თვეში მოემატება ამ თანხის ერთი მეოთხედი, რაც აღნიშნულია ნიხრის მე-2 მუხ.; ამასთანავე არა-სრული თვე სრულ თვედ ჩაითვლება.

4. ცხოველთა შენახვისათვის ზევით განსაზღვრული სასყიდელი გადიდებულ უნდა იქნეს 50%-თ.

5. უკეთუ ქონების შენახვისათვის საჭირო იქნება რაიმე ხარჯი, როგორც, მაგალითად, დარაჯთა დაქირავება, განსაკუთრებული შენობა ქონების მოსათავსებლად, ცხოველთა გამოკვება, ქონების გადაზიდვა და სხვ., ეს ხარჯი შემნახველს ცალკე აენაზღაურება.

6. ქონების შენახვა მე-5 მუხ. გათვალისწინებულ პირობებში საფინანსო ორგანომ უეჭველად უნდა აღნიშნოს თვით აღწერაშივე, თანაც უკლებლივ უნდა იყოს ნაჩვენები ყველა საამისოდ საჭირო ხარჯი, რაც გამოიანგარიშება არსებული საშუალო საბაზრო ფასების მიხედვით.

7. შემნახველი ხელს მოაწერს ქონების მიღებაზე თვით აღწერაში, რომლის ასლიც მას მიეცემა.

8. საფინანსო ორგანოს მიერ ქონების შესაფასებლად მიწვეული მცოდნე პირი გასამრჯელოს მიიღებს საშუალო სამუშაო ხელფასის ანგარიშით, მისი კვალიფიკაციის თანახმად, ნახევარდღისთვის, უკეთუ შეფასებას იგი ორ საათზე მეტ ხანს არ მოუნდა, და მთელი დღისათვის, უკეთუ მან დღის განმავლობაში ორი საათიდან ექვს საათამდე იმუშავა; ხოლო იმ ხნის განმავლობაში, რასაც იგი ექვს საათზე მეტს იმუშავებს, იგი მიიღებს თვითეული საათისათვის საათნახევრის რაოდენობით.

9. ამას გარდა, დამფასებელს აენაზღაურება გზის ხარჯი მისი მუდმივი საცხოვრებელი ან სამსახურის ადგილიდან შეფასების ადგილამდე მისვლისათვის—წინაუკმოდ.

10. შემნახველი ანგარიშვალდებულია შესანახი ქონების შემოსავლისათვის.

№ 4

ფორმა № 1-ა.

მენარჩენეთა ქონების შეკვრისა და საჯარო ვაჭრობით გაყიდვის წესების მე-4 მუხლის დანართი.

ა ღ წ ე რ ა

ქონებისა, რომელიც ეკუთვნის

.....

და არის .....

მოახდინა 192 წ. ..... ფინ .....

თანახმად გადასახადთა გადახდევ. დებ. 11, 12 და 15

მუხ. მენარჩენის

და მოწმეთა ..... თანადასწრებით

.....

ნარჩენის გადაუხდელობის გამო.

№№ რიგზე	აწერილი საგნების სახელწოდება	რაოდენობა.	ზომა ან წონა.	შეფასება		ბაზარდა ფასანბად.	შემნახველის ხელწერილი	შენიშვნა.
				მან.	კაპ.			

ხელმოწერა:

აღწერა მოვახდინე

აღწერას } მენარჩენე
დაესწრნენ } მოწმენი .....

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 1—ბ.

ალწერა შენობათა

რომელიც ეკუთვნის მოქ .....

..... და მდებარეობს

.....

ალწერა მოახდინა .....

.....

თანახმად გადასახადთა გადახდევ. დებულ. 11, 12 და 15 მუხ. .....

.....

ალწერა მოხდა 192.....წ. .....

მფლობელობა შესდგება .....

.....

.....

საქალაქო შეფასებით დაფასებულია .....

სადასაზღვეო შეფასებით დაფასებულია .....

№№ რიგზე.	შენობათა ალწერა	შეფასება		შინიშვნა
		მან.	კაპ.	

ალწერას და შეფასებას დაესწრნენ მენარჩენე .....

მოწმები .....

ხელმოწერა:

ალწერა მოვახდინე .....

ალწერას დაესწრნენ:
- მენარჩენე .....
- მოწმები .....
- მოწვეული მცოდნე პირ .....

.....

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 2.

მენარჩენეთა ქონების შეკვრისა და საჯარო ვაჭრობით გაყიდვის წესების მე-5 მუხლის დანართი.

რ ე ე ს ტ რ ი

გადახდევინების ღონისძიებათა აღნუსხვისა და ქონების გასხვისების შესახებ

.....

.....

.....

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 3.

ქონების შეკვრისა და გაყიდვის წესების მე-10 მუხ. დანართი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

..... ინსპექტორი ..... უბნისა (რაიონისა) ..... აცხადებს, რომ ..... (რა დღეა კვირის) ..... (192 ..... წ. თვე და რიცხვი) დღის ..... საათზე ..... გადასახადის ნარჩენის გადაუხდელობისათვის ..... (სადგომის სწორე მისამართი) გ ა ი ყ ი დ ე ბ ა ს ა ჯ ა რ ო ვ ა ჭ რ ო ბ ი თ ქონება, რომელიც ეკუთვნის .....

.....

„ ..... „ მან. და „ ..... „ კაპ. შეფასებული .....

..... და

სხვა საქონელი ვაჭრობა $\frac{\text{პირველი}}{\text{მეორე.}}$ ..... *)

ვაჭრობა დაიწყება $\frac{\text{შეფასების თანხიდან}}{\text{შემლეული ფასიდან}}$ .....

ფორმა № 4 ა.

ქონების შეკვრისა და გაყიდვის წესების 23 მუხ. დანართი.

ვ ა ჭ რ ო ბ ი ს ფ უ რ ც ე ლ ი.

192 ..... წ. ..... ინსპექტორმა ..... უბნისა (რაიონისა) ....., გადასახადთა გადახდევნების დებულების 11, 12 და 15 მუხ. და მენარჩენეთა ქონების შეკვრისა და საჯარო ვაჭრობით გაყიდვის წესების 8—23 მუხ. საფუძველზე და, თანახმად .... ნებართვისა,

---

*) უკეთუ ვაჭრობა მეორედაა,—უნდა დაიწეროს: „ვაჭრობა დაიწყება შემლეული ფასიდან“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვახდინე საჯარო გაყიდვა .....

.....

.....ქონებისა.....

.....

..... გადასახადის ნარჩენის

დასაფარავად „.....„ მან. და „.....„ კპ. თანხის რაოდენობით.

აღწერა შედგენილია 192....წ. .....დამ-

ტკიცებულია 192....წ. .....

ვაჭრობა მოხდა .....

ვაჭრობა დაწყებულ იქნა .....

№№ გასაყიდი საგნებისა აღწერის მიხედვით.	შეფასება		ვაჭრობის დროს შეძლებული უდიდესი ფასი		უდიდესი ფასის შემძლებელი პირის სახელი, მამის სახელი. ზვარი და მისამართი.	მყიდველის მიერ საკუთარის ხელით ჩაწერა ფულის შეტანისა. (თანხა აღინიშნება წერით) და ქონების მიღების ხელწერილი.
	მან.	კაპ.	მან. (წერით)	კაპ.		

სულ გაყიდულია .....

..... თანხისა.

ვაჭრობა მოვახდინე .....

ვაჭრობას დაესწრნენ .....

.....

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმა № 4 ბ.

ვაჭრობის ფურცელი.

192.....წ. ..... ფინ .....

.....

....., გადასახადთა გადახდევინების დებულების 11, 12 და 15 მუხ. და მენარჩენეთა ქონების შეკვრისა და საჯარო ვაჭრობით გაყიდვის წესების 8—23 მუხ. საფუძველზე და, თანახმად.....

.....

..... ნებართვისა, მოვახდინე საჯარო გაყიდვა .....

.....

გადასახადის ნარჩენის დასაფარავად „.....„ მან. და „.....„ კაპ. თანხის რაოდენობით .....

.....

ვაჭრობის დაწყების წინ ვაჭრობაში მონაწილეობის სურვილი განაცხადეს

.....

.....

.....

წარმოადგინ მოწმობა .....

..... და ბე.....

..... მან. (კვიტ. № .....).

ამას გარდა, ყველა მონაწილემ დასდო ხელწერილი წესების მე-12 მუხ. თანახმად. ხელწერილები აქვეა დართული. ვაჭ. დაწყებულ იქნა დღის „.....„ საათზე.

უდიდესი ფასი.....

.....

შეაძლია მოქ. ..... რომელსაც

დარჩა ქონება.

ფინ .....

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდიდესი ფასი .....

შივაძლიე და დანარჩენი თანხის შემოტანას, უკვე შემოტანილი ბეისა და .....სახელზე გაკეთებული გირავნობის აქტით გათვალისწინებული ვალ.ს ჩათვლით, ვკისრულობ არა უგვიანეს .....

ხელმოწერა .....

ბე უკანვე მივიღე .....

ცნობა ფინ (ხელმოწერა)

მყიდველმა .....

..... მან. ნაღდ ფულად შეიტანა ..... (რიცხვი) თარიღით და .....№ რის ქვითარით ..... მოქ. .....

..... ქონების გირავნობით აღებული ვალის დასაფარავად და ამიტომ ეს თანხა მასზე უნდა იქნეს გადატანილი.

ფინ .....

საქმე № .....192 ..... წ.

ასლი ესე ფინ .....

..... მიერ, თანახმად სამოქ.-საპროც. კოდექსის 312 მუხ., მიეცა მოქ. .....იმ საქმიდან, რომელიც შეეხება მოქ. ..... სასარგებლოდ მოქ. ..... „ „ მან. და „ „ კაპ. გირავნობის აქტით გადახევინებას. ასლი ესე მიცემულია .....

.....სახელმწიფო სანოტარო კონტორაში წარსადგენად. საღერბო და სანიხრო გამოსაღები მიღებულია. ქალ. .....192 წ.

ფინან (ხელმოწერა).

№.....

ბეჭედი

დადგენილება № 11 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

639. **ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სამომხმარებლო კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის დაწესებული სოციალური დაზღვევის გადასახადის დროებითი საშეღავათო ტარიფის თაობაზე“ 1926 წ. თებერვლის 11-ს თარიღითა და მე-2 №-ით გამოცემული დადგენილების შეფარდების წესის შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სამომხმარებლო კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის დაწესებული სოციალური დაზღვევის გადასახადის დროებითი საშეღავათო ტარიფის შესახებ“ 1926 წ. თებერვლის 11 თარიღითა და მე 2 №-რით გამოცემული დადგენილების მოქმედების ფარგალი შემოზღუდულ იქნეს სამომხმარებლო ტიპის კოოპერატიული ორგანიზაციებით, რომელთაც აერთიანებს ამიერკავკასიის კავშირი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. უსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1926 წ. აპრილის 15. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1161 №-ში 1926 წ. აპრილის 27-ს.

დადგენილება № 12 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

640. **სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათა და საწარმოთა და საჯარო ანგარიშგება-ვალდებულ შერეულ საზოგადოებათა საანგარიშო ნაწილის დებულების დამტკიცების შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი „დებულება სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათა და საწარმოთა და საჯარო ანგარიშგება-ვალდებულ შერეულ საზოგადოებათა საანგარიშო ნაწილის შესახებ“,

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1926 წ. აპრილის 15. ტფილისი. სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგულეგა სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულეგათა და საწარმოთა და ანგარიშგეგა-ვალდეგულ შერეულ საზოგადოეგათა საანგარიშო ნაწილის შესახებ.

1. საანგარიშო ნაწილის თავისდროზე მოწყობა (არა უგვიანეს დაწესებულების მოქმედების დაწყებისა) შეადგენს ამ დაწესებულების ადმინისტრაციის მოვალეობას.

2. დაწესებულებისა თუ საწარმოს ცენტრალური საანგარიშო ნაწილი განაგებს ამა დაწესებულებისა თუ საწარმოს ანგარიშგებას მთლად და აგრეთვე მათ შედგენილობაში შემავალ ადგილობრივ საანგარიშო ნაწილთ.

3. ქვემდგომი საანგარიშო ნაწილი თავის მუშაობაში იხელმძღვანელებს ზემდგომი საანგარიშო ნაწილის განკარგულებას და დირექტივს.

4. საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელს დანიშნავს და გადააყენებს დაწესებულებისა თუ საწარმოს ცენტრალური ადმინისტრაცია, მომქმედი კანონმდებლობის თანახმად; ამასთანავე ადგილობრივი საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელის დანიშვნასა და გადაყენებას მოახდენს ცენტრალური ადმინისტრაცია, ცენტრალური საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელის წარდგენით, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს ადგილობრივ ადმინისტრაციასთან.

შენიშვნა. უკეთუ ადმინისტრაციასთან დადებულ იქნება ინდივიდუალური ხელშეკრულება, იგი შეთანხმებულ უნდა იქნეს ამა დებულების მე-9-12 მუხლებთან.

5. მოსაწყობი საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელი, თანამდებობის მიღებისათანავე, მოვალეა, არა უგვიანეს ოთხი კვირისა, წარუდგინოს ადმინისტრაციას პროექტი მის მიერ საანგარიშო ნაწილის მოწყობისა და თანაც გამოარკვიოს ბალანსის ნომენკლატურა, საანგარიშო ნაწილის სტრუქტურა, ამ საანგარიშო ნაწილის ურთიერთობა დაწესებულების სხვა ნაწილებთან, შტატი და საანგარიშო ნაწილის თანამშრომელთა შორის მუშაობის განაწილება.

შენიშვნა 1. უკეთუ საანგარიშო ნაწილი ეწყობა დაწესებულების განყოფილებასა, კონტორასა ან სააგენტოსთან ან და სხვა რამ საპერიფერიო ნაწილთან, და თანაც ცენტრიდან მიღებულია დებულებები, ცირკულიარები და სხვაგვარი მასალა, რომლითაც გათვალისწინებულია საანგარიშო ნაწილის მოწყობისა და მუშაობის წესი,—ხელმძღვანელი მოვალეა თავისი პროექტი საანგარიშო ნაწილის მოწყობისა ააგოს ამ მასალებისადა მიხედვით, თუნდაც იგი არ ეთანხმებოდეს ცენტრის მიერ განსაზღვრულ დებულებათ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, პროექტის შედგენასთან ერთად, საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელი მიმართავს ცენტრს და გამოსთქვამს თავის მოსაზრებას.

შენიშვნა 2. საანგარიშო ნაწილის მოწყობის პროექტი, ადმინისტრაციის მიერ დამტკიცების შემდეგ, გაეგზავნება მუშათა და გლეხთა ინსპექციის სათანადო ორგანოს ცნობად.

6. საანგარიშო ნაწილის მოწყობის პროექტი, ადმინისტრაციის მიერ დამტკიცების შემდეგ, ძალაში შედის და, არა უგვიანეს სამის თვისა, შეცვლილ უნდა იქნეს საანგარიშო ნაწილის დებულებით, რაც ადმინისტრაციამ უნდა დამტკიცოს.

შენიშვნა უკეთუ საანგარიშო ნაწილი ეწყობა განყოფილებასა, კოტორასა ან სააგენტოსთან ან და სხვა რამ საპერიფერიო ნაწილთან, დებულება საბოლოოდ ძალაში შედის მარტოოდენ მას შემდეგ, როცა მას ცენტრი დამტკიცებს.

7. უკეთუ საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელი შეუდგება ისეთი საანგარიშო ნაწილის გამგებლობას, რომელიც უკვე მოქმედებს, იგი მოვალეა,—ორიდან ექვს კვირამდე, საანგარიშო ნაწილის სამუშაოს ოდენობისა და ხასიათის მიხედვით,—წარუდგინოს ადმინისტრაციას წერილობითი მოხსენება იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია მის მიერ მიღებული საანგარიშო ნაწილი; თანაც აუცილებლად უნდა აღნიშნოს ის გარემოება, რაც აბრკოლებს საანგარიშო ნაწილის წესიერ მუშაობას და გამოსთქვას თავისი მოსაზრებანი, როგორ შეიძლება თავიდან აცილებულ იქნეს ეს დაბრკოლებანი. ამასთან ერთად ხელმძღვანელი მოვალეა აუწყოს ადმინისტრაციას ყველა ის გარემოება და პირობა, რის თავიდან აცილება ან შექმნა მის ძალთა და კომპეტენციის გარეშეა.

8. საანგარიშო ნაწილის შტატის შევსებას და მის დროებით გადიდებას მასსიური შვებულებების გამო ან იმის გამო, რომ მუშაობის რაოდენობამ ან მოცულობამ ეპიზოდიურად იმატა, მოახდენს დაწესებულების ადმინისტრაცია, საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელის წარდგენით. უკეთუ საჭირო იქნება შტატის დროებით გადიდება, ამის შესახებ წარსადგენ მოხსენებაში აღნიშნულ უნდა იქნეს დამატებითი პერსონალის რაოდენობა და დრო, რის განმავლობაშიაც ეს პერსონალია საჭირო.

9. საანგარიშო ნაწილის გამგეს უფლება არა აქვს დაანებოს სამსახურს თავი, ვიდრე სათანადოდ ჩამოყალიბებული არ იქნება მის მენაცვლისათვის საანგარიშო ნაწილის გადაცემა.

შენიშვნა. ხელმძღვანელის მერ სამსახურისათვის თავის დანებება წლიური ანგარიშის შედგენის პერიოდში შეუძლებელია.

10. ჩამოყალიბებულ გადაცემად იგულისხმება მიღება ახალი ხელმძღვანელის მიერ საანგარიშო ნაწილის ბალანსისა, ყველა დოკუმენტისა და დავთრისა, რაც გადაცემის დროს მოიპოება, და ამაზედ შედგენილ უნდა იქნეს აქტი ჩამბარებლისა და მიმღების ხელმოწერით.

11. უკეთუ გადასაცემი ბალანსი შედგენილია არა იმ თვის 1-ლი რიცხვისათვის, რომელ თვეშიაც გადაცემა სწარმოებს, ახალ ხელმძღვანელს უფლება აქვს მოითხოოს, რომ საანგარიშო ნაწილის ჩამბარებელმა შეავსოს დავთრები იმ თვის 1-ლ რიცხვამდე, რომელ თვეშიაც გადაცემა სწარმოებს ასეთი მოთხოვნის გამო დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება აქვს არ გაანთავისუფლოს ჩამბარებელი ხელმძღვანელი, ვიდრე იგი მოთხოვნილ ბალანსს არ შეადგენს.

შენიშვნა. საანგარიშო ნაწილის ჩამბარებელ ხელმძღვანელს უფლება ეძლევა თავიდან აიცილოს ამა მუხლში აღნიშნული მოთხოვნის შესრულება მხოლოდ იმ შეკითხვევაში, უკეთუ დაამტკიცებს, რომ მოთხოვნილი ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლანსის შედგენა მას არ შეუძლიან მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

12. უკეთუ საანგარიშო ნაწილი ურიგოდ არ არის დაყენებული (ე. ი. შედგენილია ბალანსი იმ თავის 1-თვის, რა თვეშიაც გადაცემა სწარმოებს და საანგარიშო ნაწილის ყველა დოკუმენტზე გამოწერილია ორდერი და გატარებულია დავთრებში), და ამასთანავე საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელის თანამდებობისათვის კანდიდატი არ მოიპოვება, ჩამბარებელ ხელმძღვანელს შეუძლიან საანგარიშო ნაწილი დროებით თავის მოადგილეს გადასცეს; ხოლო, ვინიცობაა, შტატში მოადგილის თანამდებობა არ ირიცხება,—გადასცეს საანგარიშო ნაწილის უფროს თანამშრომელს, ვიდრე ახალი ხელმძღვანელი დაინიშნებოდეს.

13. საანგარიშო ნაწილის ჩამოყალიბებისა და მოქმედების დროს დაწესებულების ადმინისტრაცია მოვალეა ყოველი ღონისძიებით ხელი შეუწყოს საანგარიშო ნაწილს, რათა მან განახორციელოს თავისი მიზნები, კერძოდ:

ა) ისე აწარმოოს თავისი მუშაობა, რომ შესაძლებელი გახდეს ამ მუშაობის თავის დროზე სისავსით და სისწორით აღნუსხვა;

ბ) გადასცეს ხოლმე საანგარიშო ნაწილს გასაცნობად ასლი ყველა ოქმისა, ჟურნალისა, განკარგულებისა, დებულებისა, ინსტრუქციისა და ცირკულიარისა, რაც-კი დაწესებულების მუშაობასთან დაკავშირებით გამოიცემა და აგრეთვე დაუყოვნებლად გადასცეს ხოლმე საანგარიშო ნაწილსავე მთლად შემოსული კორესპონდენცია საფინანსო, მატერიალური და საანგარიშო საკითხების გამო.

შენიშვნა. ყველა დაწესებულებაში საანგარიშო ნაწილისათვის გადასაცემი ქაღალდებისა და დოკუმენტების კატეგორიას და მათი გადაცემის წესს დაადგენს დაწესებულების ადმინისტრაცია საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელთან ერთად.

გ) განახორციელოს საანგარიშო ნაწილის მეშვეობით ყოველგვარი ურთიერთი მიმართვა სხვა დაწესებულებისა და პირისადმი წერილისა, ამონაწერისა, ნუსხისა, ცნობისა და სხვაგვარი გასაგზავნი დოკუმენტის სახით, როდესაც ამ მიმართვას კავშირი აქვს საანგარიშო ნაწილის მუშაობასთან;

დ) მისცეს საანგარიშო ნაწილს ისეთი მოწყობილება და შეუქმნას ისეთი პირობები, რაც შეესაბამება საანგარიშო მუშაობის თავისებურობას, კერძოდ: მოუმარაგოს საანგარიშო ნაწილს ხელსაწყო, სკანცელარიო და საკონტორო საგნები, დავთრები, ბლანკები, კანონთა და განკარგულებათა კრებულები, პერიოდული გამოცემები და სახელმძღვანელოები, რაც-კი საჭირო და სასარგებლო იქნება საანგარიშო მუშაობისათვის.

14. საანგარიშო ნაწილის ჩამოყალიბებისთანავე დაწესებულების ადმინისტრაცია და ოპერატიული ნაწილები მოვალენი არიან დაუყოვნებლივ გადასცენ საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელს სააღნუსხვოდ დაწესებულების მიერ დადებული ყველა ხელშეკრულება, შეთანხმება და სხვაგვარი გარიგება და თავის დროზე აცნობონ ხოლმე საანგარიშო ნაწილს ყველა ის ცვლილება, რაც-კი მოხდება მომქმედ ხელშეკრულებაში, შეთანხმებაში და გარიგებაში.

15. დაწესებულების მიერ გაცემული ყველა თამასუქი და სხვ. ფულადი ვალდებულება უნდა გადაეცეს საანგარიშო ნაწილს საალუსხვოდ, ვიზის დასმისათვის და სათანადოდ ჩამოყალიბებული გაცემისათვის დანიშნულებისამებრ.

16. დაწესებულების ადმინისტრაციისა და ოპერატიული ნაწილების ყველა განკარგულება, რითაც, არსებული დებულებებისა და წესების განსავითარებლად, მოწესრიგდება ტეხნიკური პირობები ფულადი და მატერიალური ფასეულობისა და საქონლის გამოყენებისა, შენახვისა, გადანაცვლებისა, დახარჯვისა ან გასხვისებისა და იმ მუშაობის წარმოებისა და აღნუსხვისა, რაც დაწესებულების ოპერატიულ ფუნქციებში შედის, — შემუშავებულ უნდა იქნეს საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელთან ერთად ან მასთანვე შეთანხმებული ამ განკარგულებათა ძალაში შესვლამდე.

17. საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელი მოვალეა ისე ააგოს საანგარიშო ნაწილი, რომ იგი განახორციელებდეს სრულ და სწორე აღნუსხვას, ე. ი. რომ მთლად დაწესებულების მოქმედება, გამოუნაკლისად, რის საბუხჰალტრო აღნუსხვაც-კი შეიძლება, გამოიხატებოდეს საონადო ანგარიშებში. ამის განსახორციელებლად საანგარაშო ნაწილს ეძლევა შემდეგი უფლება:

ა) მოსთხოოს დაწესებულების სათანადო ნაწილს ყოველგვარი ცნობა და განმარტება იმ საკითხების გამო, რასაც კავშირი აქვს დაწესებულების ქონებასა და ფასეულობასთან, აგრეთვე სამეურნეო და საფინანსო მუშაობასთან;

ბ) გაუწიოს ზედამხედველობა ქვემდებარე და ანგარიშვალდებული საანგარიშო ნაწილების მოქმედებას მით, რომ: 1) გაეცნოს საქმის დაყენებას ადგილობრივ, 2) გამოიწვიოს ხოლმე, დაწესებულების ადმინისტრაციის თანხმობით, ბუხჰალტრები ადგილებიდან პირადად ინსტრუქტიორის გაწევისათვის და 3) შეიმუშაოს დებულებანი, განკარგულებანი ინსტრუქციები და წესები, რითაც გათვალისწინებულ იქნება ამ ნაწილების მუშაობის წესი;

გ) შეამოწმის ქონება და ფულადი და მატერიალური ფასეულობა, ამის შესახებ აქტის შედგენით ან უამისოდ; აგრეთვე რევიზია გაუკეთოს ყოველგვარი ფასეულების საცავებს აქტის შედგენით, რაშიაც აღნიშნული უნდა იყოს რევიზიის გამომწვევი მიზეზი და რევიზიის შედეგი;

დ) მოსთხოოს დაწესებულების ყველა ნაწილს, რომელსაც-კი ეს მოთხოვნა შეეხება, სისწორით და თავის დროზე შეასრულოს მომქმედი კანონები, განკარგულებები, ინსტრუქციები და წესები ანგარიშწარმოებისა და ანგარიშგების შესახებ.

18. უკეთუ საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელი მიიღებს ადმინისტრაციისაგან ისეთ განკარგულებას, რაც ეწინააღმდეგება არსებულ კანონებს და დადგენილებებს, აგრეთვე მომქმედ დებულებებსა, ბრძანებებსა, განკარგულებებსა, ცირკულიარებსა, ინსტრუქციებსა და წესებს, იგი თავის აზრს წერილობით განაცხადებს და შეასრულებს ასეთ განკარგულებას მარტოოდენ მას შემდეგ, როდესაც დაწესებულების ადმინისტრაცია წერილობით მისვე განცხადებაზე კვლავ დაუდასტურებს ამ განკარგულებას.

შენიშვნა. საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელის მიერ პროტესტქმნილი განკარგულებისა ან დოკუმენტის საბუხჰალტრო დავთრებში გატარების დროს იგი აღნიშნავს ორდერზე მის მიერ განცხადებულ პროტესტს.

19. საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელი მიიღებს სააღნუსხვოდ და საბუხჰალტრო დავთრებში გასატარებლად მხოლოდ ისეთ დოკუმენტებს (მათ შორის ხელშეკრულებას, პირობას, გარიგებას და სხვ.), რაც სათანადოდ არის ჩამოყალიბებული.

20. საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელი მოვალეა წარუდგინოს დაწესებულების ოპერატიულ ორგანოს, მისი მოთხოვნისამებრ, დაწესებული ანგარიშგების გარდა, აგრეთვე ყველა ის ცნობა, რაც უშუალოდ გამომდინარეობს არსებულ სააღნუსხვო სისტემიდან.

21. საანგარიშო დარგის ყველა კატეგორიის მომუშავე, რომელიც-კი საბუხჰალტრო დავთრებში ისეთ ცნობას გაატარებს, რაც დაამახინჯებს ბალანსის სისწორეს და სინამდვილეს, უკეთუ ეს ჩადენილია შეგნებით, მიიცემა პასუხისგებაში სასამართლოს წესით, იმის მიუხედავად, თითონ მან დამოუკიდებლად გაატარა აღნიშნული ცნობა, თუ სხვა ვისმე მოთხოვნით.

შენიშვნა. საანგარიშო დარგის მომუშავე განთავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, უკეთუ მან განაცხადა პროტესტი ამა დებულების მე-18 მუხ. და ამავე მუხლის შენიშვნაში აღნიშნული წესისამებრ.

22. საანგარიშო დარგის მომუშავე პასუხს აგებს საბუხჰალტრო დავთრებში უდოკუმენტო ცნობის გატარებისათვის ისევე, როგორც ამა დებულების 21 მუხლში აღნიშნული ბალანსის დამახინჯებისათვის.

შენიშვნა. უდოკუმენტო ცნობის გატარებად იგულისხმება ისეთი გატარება, რაც თავის დასასაბუთებლად მოითხოვს ხელშეკრულებისა, პირობისა, კორესპონდენციისა, ამონაწერისა და ოფიციალური ცნობის დართვას ან და საანგარიშო ნაწილში ქონებული ამგვარივე დოკუმენტების დასახელებას, ხოლო გატარება კი მოხდება ასეთი დოკუმენტების დაურთველად ან დაუსახელებლად.

23. საანგარიშო დარგის მომუშავის მიერ საანგარიშო ნაწილის საქმის შინაარსის გახმაურება აკრძალულია.

24. ადგილობრივი საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელი მოვალეა ყველა იმ მოხსენების ასლი, რომელიც შეეხება საანგარიშო ნაწილის მუშაობისა ან ამ მუშაობის ცალკე მომენტების საკითხებს, წარუდგინოს ცენტრალური საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელს. სწორედ ასევე, უკეთუ საანგარიშო ნაწილსა და დაწესებულების ადმინისტრაციას შორის აღიძვრის რაიმე შეუთანხმებლობა ან საკითხი, საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელი მოვალეა აცნობოს ეს ცენტრალური საანგარიშო ნაწილის ხელმძღვანელს, თანაც აღნიშნოს საქმის გარემოება და ისიც, თუ რა გზას დაადგა იგი.

25. აკსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციას უფლება აქვს, ამა დებულების ცალკე მუხლების განსავითარებლად, გამოსცეს დამატებითი სათანადო ინსტრუქციები და წესები.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1161 №-ში 1926 წ. აპრილის 27-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1571 ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალ-ხო კომისარიატისა

(მოწესრიგების სამმართველო)

1926 წ. აპრილის 8.

641. შირის ტრესტის ნაკეთობის საბითუმო და ცალობითი ფასების შესახებ.

„ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების“ შესახებ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ „გ“ პუნქტის თანახმად, ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1924 წლის ნოემბრის 17-ს თარიღისა და მე-18 №-რის, დადგენილების გასაუქმებლად, ადგენს:

1. შირის ტრესტის ტფილისისა და ბაქოს განყოფილების მიერ სახელმწიფო ვაჭრობისა, კოოპერაციისა და კერძო ვაჭრობისათვის გაცემული შირის ნაკეთობაზე დაწესებულ იქნეს შემდეგი უკიდურესი საბითუმო საგასაცემო ფასები:

სახელწოდება.	საბით.	ფას.
1. შირის ბოტიკი მამაკაც	4 მან.	და 05 კაპ.
2. ნახევარ-ბოტიკი მამაკაც. მე-17 №-დე. . . .	3 „	„ 85 „
3. გალოში მამაკაც	3 „	„ 35 „
4. გალოში ქალისა	3 „	„ 35 „
5 გალოში K. T.	3 „	„ 35 „
6. გალოში მოზარდი ვაჟისთვის	2 „	„ 75 „
7. გალოში მოზარდი ქალისთვის	2 „	„ 15 „
8. გალოში ბავშვისთვის	1 „	„ 85 „
9. ბოტიკი მოზ. ვაჟ	3 „	„ 70 „
10. ნახევარ ბოტიკი მოზარდი ვაჟ	3 „	„ 45 „

2. დაწესებულ იქნეს შემდეგი უკიდურესი საგასაცემო ცალობითი ფასები სახელმწიფო ვაჭრობისა, კოოპერაციისა და კერძო ვაჭრობის ყველა საგასაცემო ადგილებში:

ცალობითი ფასები:

სახელწოდება	ტფილისსა და ბაქოსათვის	ა/კსფსრ სხვა ადგილების.
1. შირის ბოტიკი მამაკაცის .	4 მან და 45 კაპ.	4 მან. და 65 კაპ.
2. ნახ. ბოტ. მამაკაც მე-17 №-დე	4 „ „ 25 „	4 „ „ 45 „
3. გალოში მამაკაცისთვის	3 „ „ 70 „	3 „ „ 90 „
4. გალოში ქალისთვის	3 „ „ 70 „	3 „ „ 90 „

5.	გალოში	K. T.	. . . . .	3	მან.	და	70	კაპ.	3	მან.	და	90	კაპ.
6.	გალოში	მოზარდი	ვაჟ.	. .	3	„	„	05	„	3	„	„	20	„
7.	გალოში	მოზარ.	ქალ.	. .	2	„	„	40	„	2	„	„	55	„
8.	გალოში	ბავშვისთვის		. .	2	„	„	05	„	2	„	„	15	„
9.	ბოტიკები	მოზარ.	ვაჟ.	. .	4	„	„	05	„	4	„	„	25	„
10.	ნახევარ-ბოტიკი		მოზ.	ვაჟ	. 3	„	„	80	„	4	„	„	—	კ.

3. ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში მეთვალყურეობა უნდა იქონიოს ამა დადგენილების სისწორით შესრულებისათვის.

4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდესისამებრ, როგორც შინავაჭრობის წესების დარღვევისათვის.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის ა/წ. აპრილის 1-დან.

ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისარი **ერქომაიშვილი.**

მოწესრიგების სამმართველოს
უფროსის მოადგილე **მერკუროვი.**

საქმეთა მართველი **ჩაკერტი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1161 №-ში 1926 წ. აპრილის 27-ს.

დადგენილება № 1672 ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

(მოწესრიგების სამმართველო)

1926 წ. აპრილის 8.

642. პაპიროსის საბითუმო და ცალობითი ფასების შესახებ.

ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ- „გ“ პუნ. თანახმად, ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1925 წ. აპრილის 30-ს თარიღისა და 37 №-რის, დადგენილების 1-ლი მუხლისა და მე-7 მუხლის შენიშვნის შესაცვლელად, ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს მთლად ა/კსფსრ ტერიტორიაზე პაპიროსის შემდეგი უკიდურესი საეტიკეტო ფასები, აქვეცოზის ჩათვლით:

1-ლი ხარისხის	“ა„	შეხვეული	100	ცალი	1 მან.
„	„	„ „	25	„	27 კაპ.
„	„	„ „	10	„	11 „

ეროვნული ბიბლიოთეკა

1-ლი ხარისხის „ბ„	შეხვეული	100 ცალი	82 კაპ.
„ „ „	„	25 „	22 „
„ „ „	„	10 „	9 „
მე-II ხარისხის „ა“	შეხვეული	100 ცალი	56 კაპ.
„ „ „	„	25 „	15 „
„ „ „	„	20 „	12 „
„ „ „	„	10 „	7 „
მე-II ხარისხის „ბ“	შეხვეული	100 ცალი	44 კაპ.
„ „ „	„	25 „	12 „
„ „ „	„	20 „	10 „
„ „ „	„	10 „	5 „

2. უკეთუ მეორე ხარისხის „ა“ და „ბ“ პაპიროსის სახვევის მარაგში, რაც აღნუსხვაზეა მიღებული, აღმოჩნდება 25-ცალიანი სათავსი, უკიდურესი საეტიკეტო ფასი დაწესებულ უნდა იქნეს:

მე-II ხარისხის „ა“-ს 25-ცალიანისათვის—15 კაპ.

მე-II ხარისხის „ბ“-ს 25-ცალიანისათვის—12 კაპ.

3. ვიდრე ახალი სახვევი მასალა დამზადდებოდეს, ფაბრიკებსა და საბაზისო საწყობებს ნება ეძლევათ ამა დადგენილებით დაწესებული ფასები აღნიშნონ ძველ სახვევზე მით, რომ ფასი და-ხარისხი სათანადო შტემპელით დასვან ან წაკრან, ხოლო ისე-კი, რომ დანარჩენი აღნიშვნები, რაც ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1925 წ. აპრილის 30-ს თარიღისა და 37 №-რის დადგენილების მე-5 მუხლითაა გათვალისწინებული, არ დაიფაროს.

4. ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე გამოშვებული პაპიროსი, რ ომელ ზედაც 1925 წ. აპრილის 30-ს თარიღისა და 37 №-რის დადგენილებით დაწესებული ფასია აღნიშნული, უნდა გაიყიდოს ამა, 1926 წლის აპრილის 8 თარიღისა და 16/72 №-რის, დადგენილებით დაწესებულ ფასებში.

5. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში მეთვალყურეობა უნდა იქონიოს ამა დადგენილების სისწორით აღსრულებისათვის.

6. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის ა/წ. აპრილის 1-დან.

ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისარი **ერქომაიშვილი.**

მიწესრიგების სამმართველოს
უფროსის მოადგილე **მერკუროვი.**

საქმეთა მმართველი **ჩაკერტი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1161 №-ში 1926 წ. აპრილის 27-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 8 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

643. საუბნო, სადაირო და სათემო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სოფლის საბჭოების მოვალეობათა ფარგალის შესახებ ფოსტა-ტელეგრაფის კავშირგაბმულობის სფეროში.

აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აღკრძალულ იქნეს იძულებითი დაკისრება ადგილობრივი მოსახლეობისათვის მომსახურეობას უწევდეს ფოსტა-ტელეგრაფის უწყების დაბალ პუნქტებს, როგორიც არის, მაგალითად: კორესპონდენციისა ან ქონების გადასაზიდად ზიდვის საშუალებათა მიკემა, პერსონალის შენახვა, უფასოდ სადგომების მიჩენა და ამ სადგომების მოვლა-პატრონობა

2. რადგანაც ამ ჟამად შეუძლებელია ფოსტა ტელეგრაფის ქსელმა სისავსით გაწუიოს მომსახურეობა სოფლებს, ის საუბნო, სადაირო და სათემო აღმასრულებელი კომიტეტები და სოფლის საბჭოები, რომელთაც არა აქვთ ნორმალური საფოსტო-სატელეგრაფო კავშირგაბმულობა, მოვალენი არიან დააწესონ რეგულიარული, არა ნაკლებ, ვიდრე კვირაში ორჯერ, ჩაბარება და მიღება როგორც თავისი, ისე მოსახლეობის კორესპონდენციისა უახლოეს ფოსტა-ტელეგრაფის პუნქტში ან მოძრავი ფოსტის გასაჩერებელ ადგილას, რისთვისაც უნდა გამოიყენონ ხოლმე სამსახურის საქმისათვის წარსავლენებელი სოფლის აღმასრულებელნი და სხვა თანამდებობის პირნი.

3. ყველა სახელმწიფო დაწესებულება და საწარმო, რომელიც უბნისა, დაირისა და თემის ფარგლებშია, მოვალეა სამსახურის საქმის გამო მიმოსვლის დროს მიიტანოს კორესპონდენცია სოფლის საბჭოდან ფოსტა-ტელეგრაფის პუნქტში და ამ პუნქტიდან სოფლის საბჭოში.

4. ის საუბნო, სადაირო და სათემო აღმასრულებელი კომიტეტი და სასოფლო საბჭო, რომლის საფოსტო-სატელეგრაფო კავშირგაბმულობა სუსტადაა განვითარებული, მოვალეა:

ა) უზრუნველჰყოს შენახვა იმ კორესპონდენციისა, რაც მისას გაივლის;

ბ) მოაწყოს ყველა სოფლის საბჭოში საფოსტო მარკების გაყიდვა;

გ) დაამყაროს ნორმალური მიღება მოსახლეობისაგან კორესპონდენციისა მით, რომ გამოჰკიდოს სოფლის საბჭოს სადგომში ან სხვა სათანადო ადგილას საფოსტო ყუთი წერილების ჩასაგდებად;

დ) დაამყაროს წესი, რითაც უზრუნველყოფილ იქნება ადრესატისათვის მიღებული კორესპონდენციის თავის დროზე ჩაბარება.

5. დაევალოს ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს აკსფსრ-ში, ერთი კვირის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

აკსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

აკსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1926 წ. აპრილის 6. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1162 №-ში 1926 წ. აპრილის 28-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 7 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

644. შერეულ სააქციონერო საზოგადოებათა, სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობათა და საკონცესიო საწარმოთა ბალანსების განხილვისა და მოგების განაწილების წესის შესახებ.

აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი წესები შერეულ სააქციონერო საზოგადოებათა, სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობათა და საკონცესიო საწარმოთა ბალანსების განხილვისა და მოგების განაწილების შესახებ:

1. ყველა შერეული საწარმო, რომელშიაც, კერძო ან კოოპერატიულ კაპიტალთან ერთად, მოთავსებულია სახელმწიფო კაპიტალი, და რომელიც აკსფსრ-ში შემავალი ერთ-ერთი რესპუბლიკის არა გაერთიანებულ სახალხო კომისარიატს ექვემდებარება, ან რომელშიაც მოთავსებულია ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულების კაპიტალი, წარუდგენს თავის ბალანსს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, სათანადო სახალხო კომისარიატს და აღმასრულებელ კომიტეტს და ერთ ცალს ფინანსთა სახალხო კომისარიატს არა უგვიანეს სამის თვისა საოპერაციო წლის დამთავრებიდან.

2. ყველა შერეული საწარმო, რომელშიაც, კერძო ან კოოპერატიულ კაპიტალთან ერთად, მოთავსებულია სახელმწიფო კაპიტალი, სხვათა შორის, აკსფსრ-ის გაერთიანებული სახალხო კომისარიატისა ან აკსფსრ-ში შემავალი ორი ან მეტი რესპუბლიკის არაგაერთიანებული სახალხო კომისარიატის კაპიტალიც, —წარუდგენს თავის ბალანსს სათანადო სახალხო კომისარიატებს და ერთ ცალს —აკ. ფინანსთა საგალხო კომისარიატს, არა უგვიანეს სამის თვისა საოპერაციო წლის დამთავრებიდან.

3. ყველა შერეული საწარმო მოვალეა, ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოების მოთხოვნისამებრ, წარადგინოს ანგარიშგებისათვის საჭირო ყველა ახსნა-განმარტება და დამატებითი ცნობა როგორც წერილობითი მოთხოვნის გამო, ისე ადგილობრივ გამოკვლევის დროს.

4. ბალანსების განხილვა და დამტკიცება, ამა დადგენილების 1-ლ მუხ. ჩამოთვლილ შერეულ საწარმოთა მოქმედების შედეგის განსაზღვრა და ამ საწარმოთა მონაწილე სახელმწიფო ორგანოებსა და აღმასრულ კომიტეტებ შორის მათი საკუთვნო დივიდენდის განაწილება მოხდება იმ კომისიაში, რომელიც მოეწყობა, რესპუბლიკანური ეკონომიური თათბირის დადგენილებისამებრ, უწყებული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან.

კომისიის შედგენილობაში შეავ გადამწყვეტი ხმის უფლებით თითო წარმომადგენელი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და პროფ. კავშირთა საბჭოსი, აკ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი, მისივე დანიშვნით, და იმ შერეული საწარმოს მონაწილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწყებისა და აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი, რომლის ბალანსიც განიხილება.

შენიშვნა 1. კომისიას თავმჯდომარეობს ერთი-ერთი წევრთაგანი რესპუბლიკანური ეკონომიური თათბირის დანიშვნით.

შენიშვნა 2. თავისი მუშაობისათვის კომისია გამოიყენებს სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს აპარატს.

5. ბალანსების განხილვა და დამტკიცება, ამა დადგენილების მე-2 მუხ. ჩამოთვლილ შერეულ საწარმოთა მოქმედების შედეგის განსაზღვრა და ამ საწარმოთა მონაწილე სახელმწიფო ორგანოებსა და აღმასრულებელ კომიტეტებ შორის მათი საკუთვნო დივიდენდის განაწილება მოხდება ა|კ. ფინაისთა სახალხო კომისარიატთან მოწყობილ კომისიაში.

კომისიის შედგენილობაში შევა გადამწყვეტი ხმის უფლებით ა|კ. ფინასთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი, სახელმწიფო შემოსავლის სამმართველოს სახით, და თითო წარმომადგენელი ა|კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, ა|კ. პროფ. კავშირთა საბჭოსი და იმ საწარმოს მონაწილე უწყებათა წარმომადგენელი, რომლის ბალანსიც განიხილება.

შენიშვნა. კომისიის საქმეთა მმართველობა დაეკისრება სახელმწიფო შემოსავლის სამმართველოს.

6. ერთხმად, ყველა წევრის მიერ მიღებული დადგენილება მე-4 და 5 მუხლში აღნიშნული კომისიებისა საბოლოოა და სავალდებულო შერეული საწარმოს მონაწილე სახელმწიფო ორგანოებისა და აღმასრულებელი კომიტეტებისათვის. უკეთუ გადაწყვეტილება ერთხმივი არ იქნება, მე-4 და 5 მუხ. აღნიშნული კომისიების თავმჯდომარენი მოვალენი არიან, ორი კვირის ვადაზე დღიდან კომისიის გადაწყვეტილებისა, გადაიტანონ საკითხი, რომელმაც შეუთანხმებლობა გამოიწვია, ა|კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში ან სათანადო რესპუბლიკის ეკონომიურ თათბირში—კუთვნილებისამებრ—საბოლოო გადაწყვეტისათვის თანაც წარადგინონ ორივე მხარის დასაბუთებული აზრი.

7. შერეული საწარმოს ბალანსი გამოქვეყნდება ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წ. ნოემბრის 18-ს თარიღითა და 61 №-რით გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრებ. 1924 წ. მე-8 №-რი, მუხ. 280) წესისამებრ მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი დამტკიცებულ იქნება ამა დადგენილების მე-4 და 5 მუხლში აღნიშნული კომისიების მიერ.

შენიშვნა. ზედამხედველობა ანგარიშგებისა და ბალანსის თავის დროზე წარდგენისათვის და მათი გამოქვეყნებისათვის დაეკისრება ა|კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს—კუთვნილებისამებრ. ბალანსებისა და საამისო საჭირო მასალის ვადაზე წარუდგენლობისათვის საწარმოს ხელმძღვანელი და მთავარი ბუღალტერი მიიცემიან პასუხისგებაში ა/კსფსრ-ში შემავალი ამა თუ იმ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების თანახმად.

8. ამა დადგენილების მე-4 და 5 მუხ. აღნიშნული კომისიები, შერეულ საწარმოთა ბალანსების განხილვისას, განსაზღვრავენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) შერეული საწარმოს მოგების საერთო თანხას;

ბ) შერეული საწარმოს სარეზერვო და სპეციალურ ფონდებში, საწარმოს სათანადო წესდების თანახმად, გადასარიცხ სავალდებულო ანარიცხის თანხებს;

გ) შერეული საწარმოს მონაწილე სახელმწიფო ორგანოებსა და აღმასრულებელ კომიტეტებ შორის მათი საკუთვნო დივიდენდის განაწილებას.

9. სახელმწიფო ორგანოებსა და აღმასრულებელ კომიტებ შორის მათი საკუთვნო დივიდენდის განაწილებისათვის სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს შემდეგი:

ა) ის დივიდენდი, რაც ერგება შერეული საწარმოს მონაწილე სახელმწიფო ორგანოს, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფება, ან აღმასრულებელ კომიტეტს,—მთლად შეტანილ უნდა იქნეს საკავშირო, ფედერატიულ, რესპუბლიკანურ ან ადგილობრივ ბიუჯეტში—კუთვნილებისამებრ;

ბ) იმ დივიდენდიდან, რაც ერგება შერეული საწარმოს მონაწილე სახელმწიფო ორგანოს, რომელიც სამეურნეო ანგარიშზე იმყოფება, 70 პროცენტამდე გადაირიცხება საკავშირო, ფედერატიულ ან რესპუბლიკანურ ბიუჯეტში—კუთვნილებისამებრ, 10 პროცენტამდე—მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდში (უკეთუ ეს ანარიცხი გათვალისწინებული არ არის შერეული საწარმოს წესდებით), ხოლო დივიდენდის დანარჩენი ნაწილი დარჩება სახ. ორგანოს განკარგულებაზე;

გ) იმ დივიდენდიდან, რაც ერგება შერეული საწარმოს მონაწილე აღმასრულებელი კომიტეტის დაწესებულებას, რომელიც სამეურნეო ანგარიშზე იმყოფება, 50 პროცენტამდე გადაირიცხებ ადგილობრივ ბიუჯეტში, 10 პროცენტამდე—ადგილობრივ ბიუჯეტის შედგენილობაში შესაქმნელ სამრეწველო ფონდში, 10 პროცენტამდე—მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდში, უკეთუ ეს ანარიცხი შერეული საწარმოს წესდებით არ არის გათვალისწინებული, ხოლო დივიდენდის დანარჩენი ნაწილი დარჩება აღმასრულებელი კომიტეტის დაწესებულების განკარგულებაში;

დ) ხაზინის შემოსავლად გადარიცხული ან ადგილობრივ ბიუჯეტში გადარიცხული დივიდენდი და მისი ნაწილები შეიტანება ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროში უშუალოდ თვით შერეული საწარმოს გამგეობის მიერ, საწარმოს სათანადო მონაწილის ხარჯზე, რომელსაც უნდა მიეცეს დივიდენდის დანარჩენი ნაწილი.

ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. აპრილის 2-ს თარიღისა და მე-18 №-რის დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრებ. 1925 წ. მე-4 №-რი, მუხ. 411) მე-8 მუხლის წესისამებრ სახელმწიფო და ადგილობრივ საწარმოთა მოგების განაწილების დროს განაწილებიდან ამოიშლება მათ განკარგულებაში დატოვებული ნაწილი იმ დივიდენდისა, რაც მიღებულია შერეულ საწარმოში მონაწილეობით, უკეთუ წინა წლებში, ამა დადგენილების წესისამებრ, დივიდენდი უკვე განაწილებულია.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

ტფილისი—სასახლე. 1926 წ. აპრილის 6.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1164 №-ში 1926 წ. აპრილის 30-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კ. რკ. გზის გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

1926 წ. აპრილის 26

(პლ. სხდომა. № 12—419)

645. ამიერკავკასიის რესპუბლიკების: საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოებისა და განათლების სახალხო კომისარიატების მიერ მოწყობილი ექსკურსიების მგზავრობისათვის ა/კ. რკინის გზების ფარგალში ადგილობრივი მიმოსვლის საექსკურსიო ტარიფის დაწესების შესახებ.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების: საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოებისა და განათლების სახალხო კომისარიატების მიერ მოწყობილი ექსკურსიების მგზავრობისათვის მაგარ ვაგონებში დაწესებულ იქნეს ა/კ. რკ. გზის (გზის ფარგალში) ადგილობრივი მიმოსვლის საექსკურსიო ტარიფი, რომელიც 50 პროცენტით შემცირებულია საერთო (ნორმალურ) ტარიფთან შედარებით.

საერთო რიცხვი ექსკურსანტებისა, რომელთაც უფლება აქვთ ეს ტარიფი ისარგებლონ, დადგენილია შემდეგი რაოდენობით:

საქართველოს	პროფკავშირთა	საბჭოს	ექსკურსიებისათვის	—3.000	კაცი.
სომხეთის	„	„	„	1.000	„
აზერბაიჯანის	„	„	„	2.000	„
საქართველოს	განათლების	სახ.	კომისარიატის ექსკურს.	—2.000	„
სომხეთის	„	„	„ „	1.200	„
აზერბაიჯანის	„	„	„ „	800	„

საექსკურსიო ტარიფი ესე შეფარდებულ იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ გამგზავრების სადგურზე წარადგინება ა/კ. რკ. გზ. 1-ლი №-რის ფორმის მოწმობა, რომელიც შეივსება განათლების სახალხო კომისარიატისა და პროფკავშირთა საბჭოს მიერ თვითეული ექსკურსანტის შესახებ ცალკე პასუხიმგებელი პირის ხელმოწერითა და ბეჭედის დასმით. ამ მოწმობას ძალა აქს მხოლოდ ერთჯერ წასვლისათვის და ამასთანავე უნდა ჰქონდეს ა/კ. რკ. გზ. საამკრეფო განყოფილების ვიზა, ურომლისოდაც მოწმობას ძალა არ ექნება.

ტარიფი ესე რბილ ვაგონებში და სასწრაფო მატარებლით მგზავრობაზე არ გავრცელდება.

ადგილის დასაჭერად პლაცკარტის სასყიდელი გადახდილ უნდა იქნეს საერთო საფუძველზე და უმონაკლებოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საექსკურსიო ტარიფით მსვლელ პირს, ბილეთისა და სამგზავრო მოწმობის გარდა, აგრეთვე თან უნდა ჰქონდეს და წარუდგინოს კონტროლს დოკუმენტი, რომლითაც დამტკიცდება მისი უფლება ამა ტარიფით მგზავრობისა.

ტარიფი ესე დაწესებულია ვადით ა/წ. აპრილის 30-დან ოქტომბრის 1-დე და სამოქმედოდ შემოიღება ტელეგრაფით.

ქ. ტფილისი. 1926 წ. აპრილის 30.

საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის
თავმჯდომარის მოადგილე, ა/კ. რკ. გზის გამგეობის
წევრი **ფიცხელაური.**

საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის
საქმეთა მმართველი **შახბუდაღოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1164 №-ში 1926 წ. აპრილის 30-ს.

ტფილისი. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. ბლეხან. პრ. № 91.

21/VII—26 შეკ. № 8906/1433 მთავარლიტი № 1064. ტირაჟი 800.